აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და დარგობრივი
ეკონომიკის სამინისტრო
Аҧснытәи Автономтә Республика
Афинансқәеи аусхкытә
економикеи рминистрра

# საქართველო
# ҚЫРҬТӘЫЛА

N 93/02
05/02/2020

93-02-2-202002051808

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქართველო, 0177 თბილისი, თამარაშვილის 15ა; ტელ: +995 32 2 14 00 83; E-mail: finabx@mof.ge

2020 წელი
თბილისი

## სარჩევი


**1. ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ ..... 3**
1.1 სამინისტროს სტრუქტურა ..... 3
1.2 საქმიანობის წარმართვის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო ..... 4
1.3 საქმიანობის ზოგადი მიმართულებები ..... 4
**2. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ 2019 წელს განხორციელებული აქტივობები ..... 4**
2.1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი ..... 4
2.2 საბიუჯეტო დეპარტამენტი ..... 6
2.3 ეკონომიკური დეპარტამენტი ..... 10
2.4 ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი ..... 13
2.5 იურიდიული დეპარტამენტი ..... 17
2.6 აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური ..... 19
2.7 სახაზინო სამსახური ..... 20
2.8 საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური ..... 22
2.9 შიდა აუდიტის სამსახური ..... 23
**3. სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ 2019 წელს განხორციელებული აქტივობები ..... 26**
3.1 საქვეუწყებო დაწესებულება-აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი ..... 26
3.2 საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი ..... 33
3.3 სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“ ..... 36
3.4 სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო ..... 40
3.5 სსიპ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი ..... 42
3.6 სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“ 44
3.7 სსიპ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ..... 45
3.8 ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის ..... 49

# 1. ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ

## *1.1 სამინისტროს სტრუქტურა*

2019 წელს ორი უწყების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის შერწყმის შედეგად, ჩამოყალიბდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში სამინისტო). შესაბამისად, ანგარიშში ასახულია უწყებების მიერ შერწყმამდე და შერწყმის შემდგომ განხორციელებული აქტივობები. სამინისტროში შეიქმნა 5 დეპარტამენტი და 4 სამსახური (იხ. დიაგრამა N1).

**დიაგრამა N 1.** სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულები




სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო 2 საქვეუწყებო დაწესებულება და 4 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (იხ. დიაგრამა N2):

**დიაგრამა N 2.** სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ასევე, მასთან ერთობლივად დაფუძნებული ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ საქმიანობა. გარდა აღნიშნულისა, სამინისტრო ახორციელებს მის სისტემაში შემავალი, სახელმწიფოს 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 14 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (სამედიცინო დაწესებულებები) საქმიანობის ზედამხედველობას.

## *1.2 საქმიანობის წარმართვის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო*

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- ,,აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონი;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს N22 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

## *1.3 საქმიანობის ზოგადი მიმართულებები*

სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება, კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტიციების, გრანტების მოზიდვის და საერთაშორისო დახმარებების მიღების მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა, სტატისტიკური აღრიცხვა, იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარული, გარემოსდაცვითი და დარგობრივი მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა.

# 2. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ 2019 წელს განხორციელებული აქტივობები

## *2.1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა;
- საკადრო პოლიტიკის წარმართვა, ადამიანური რესურსების მართვა და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
- საქმისწარმოების ორგანიზება;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

*შესრულებული სამუშაო*

2019 წელს განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებებისა და რეორგანიზაციის თანმდევმა პროცესებმა საანგარიშო პერიოდში განაპირობა ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებების თანამშრომელთა განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობა. სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის, სამსახურეობრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების, წახალისებისა და მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით წლის განმავლობაში მომზადდა ბრძანების 385 პროექტი.

საანგარიშო პერიოდში, კორესპონდეციამ ჯამში შეადგინა 3522 ერთეული (იხ. ცხრილი N1), მათ შორის შემოსული და გასული კორესპოდენციის რაოდენობამ შეადგინა 2591, რაც 2018 წელთან შედარებით (1889 ერთეული) 702 ერთეულით, ანუ 37,2 %–ით მეტია.

**ცხრილი N 1.** კორესპონდენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი

| **კორესპონდენციის ტიპი** | **რაოდენობა (ერთეული)** |
|---|---|
| შემოსული | 1705 |
| გასული | 886 |
| შიდა მიმოწერის დოკუმენტაცია | 931 |
| **სულ** | **3522** |

2019 წელს დეპარტამენტის მიერ 12 პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი შეიტანა 248 აპლიკანტმა. კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის პირველი ეტაპი გადალახა 90 მონაწილემ, ხოლო გასაუბრებაზე გამოცხადდა 26.

დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სამინისტროს პროფესიული საჯარო მოხელეთა შეფასების წესი, რომლის შედეგად წარმატებულ 4 თანამშრომელს მიენიჭა მოხელის

შესაბამისი კლასი, რაც ასახულ იქნა საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დეპარტამენტი უზრუნველყოფდა საქმისწარმოების გამართულ ფუნქციონირებას ელექტრონული პროგრამა edocument.ge-ს მეშვეობით, რამაც საგრძნობლად შეამცირა ვადაგასული წერილების და დაგვიანებული სამსახურეობრივი მიმოწერის რაოდენობა.

დეპარტამენტმა შეიმუშავა შინაგანაწესის განახლებული პროექტი. დაინერგა თანამშრომელთა გამოცხადების ელექტრონული სისტემა, რამაც ხელი შეუწყო შრომითი დისციპლინის ამაღლებას.

დეპარტამენტი კოორდინაციას უწევდა სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან, პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეფასებების, მატერიალური წახალისებების, სხვა პროცედურებისა და სისტემის შემუშავებას, სამინისტროში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლისათვის საჭირო ღონისძიებებს. ასევე, სამინისტროში შექმნილი იმ დოკუმენტების შენახვას, დაცვას, დამუშავებასა და აღრიცხვას, რომლებიც არქივში გადასაცემად იყო განკუთვნილი.

## *2.2 საბიუჯეტო დეპარტამენტი*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- „აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის რეპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის და ცვლილებების დოკუმენტების მომზადება;
- მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების პროექტებისა და საბიუჯეტო განაცხადების შესწავლა, ხარჯთაღრიცხვის განხილვა, დადასტურება და სახაზინო სამსახურზე დაშვება;
- რესპუბლიკური ბიუჯეტის პერიოდული და წლიური შესრულების ანგარიშის მიღება-დამუშავება, მომზადება და წარდგენა შესაბამის ორგანოში.

*შესრულებული სამუშაო*

დეპარტამენტის მიერ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში, წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები შეტანილ იქნა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (eBudjet.ge) და აისახა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასა და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge).

2018 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონით 2019 წლის დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტი განისაზღვრა - 17 483.28 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი N1). შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი - 15 300.00 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის დასაბალანსებლად დაიგეგმა - 2 183.28 ათასი ლარის გამოყენება (ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით - 3 523.51 ათასი ლარი, 31.12.2019 წლის მდგომარეობით 1 340.23 ათასი ლარის მდგომარეობით).

**ცხრილი N 2.** აფხაზეთის ა/რ 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილებები

ათასი ლარი

| N | მუხლის დასახელება | დამტკიცებული ბიუჯეტი | I ცვლილება | II ცვლილება | III ცვლილება | IV ცვლილება |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1.** | **ბიუჯეტი** | **17 483.28** | **18 007.28** | **18 229.90** | **18 303.86** | **18 642.12** |
| **2.** | **შემოსავლები** | **15 300.00** | **15 300.0** | **15 522.62** | **15 522.62** | **15 800.0** |
| *2.1* | *საშემოსავლო გადასახადი* | *7 000.00* | *7 000.0* | *7 222.62* | *7 222.62* | *7 500.0* |
| *2.2* | *სხვა შემოსავლები* | *300.00* | *300.0* | *300.0* | *300.0* | *300.0* |
| *2.3* | *სპეციალური ტრანსფერი* | *8 000.00* | *8 000.00* | *8 000.00* | *8 000.00* | *8 000.00* |
| 3. | ნაშთი 01.01.2019 | 3 523.51 | 3 523.51 | 3 523.51 | 3 523.51 | 3 523.51 |
| **3.1** | **გამოყენებული ნაშთი** | **2 183.28** | **2 707.28** | **2 707.28** | **2 781.24** | **2 842.12** |
| 3.2 | ნაშთი 31.12.2019 | 1 340.23 | 816.23 | 816.23 | 742.27 | 681.39 |

წლის განმავლობაში ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში განხორციელდა 4 ცვლილება. კერძოდ:

- 2019 წლის 19 აპრილს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში შევიდა პირველი ცვლილება (დამატება). წლიური ასიგნებები თავისუფალი ნაშთის ხარჯზე გაიზარდა - 524.0 ათასი ლარით და შეადგინა - 18 007.28 ათასი ლარი. ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ქალაქ ზუგდიდში მცხოვრები დევნილი ბავშვებისათვის ახალი ბაგა-ბაღის ასაშენებლად 330.3 ათასი ლარის გამოყოფით. ცვლილებისას რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დარჩა უცვლელი. თავისუფალი ნაშთიდან ბიუჯეტის დასაბალანსებლად გამოყენებულ იქნა - 2 707.28 ათასი ლარი (01.01.2019 წლისთვის თავისუფალი ნაშთი შეადგენდა 3 523.51 ათას ლარს, ხოლო გამოყენების შემდეგ 816.23 ათას ლარს);
- მე-2 ცვლილება (დამატება) რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში განხორციელდა 2019 წლის 23 აგვისტოს. წლიური ასიგნებები საშემოსავლო გადასახადის ხარჯზე გაიზარდა - 222.62 ათასი ლარით და შეადგინა - 18 229.9 ათასი ლარი. ცვლილებისას შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა და განისაზღვრა - 15 522.62 ლარის ოდენობით. თავისუფალი ნაშთი და მისი ბიუჯეტის დასაბალანსებლად გამოყენებული მაჩვენებლები დარჩა უცვლელი;
- 2019 წლის 3 ოქტომბერს ბიუჯეტის შესახებ კანონში შევიდა მე-3 ცვლილება (დამატება). წლიური ასიგნებები თავისუფალი ნაშთის ხარჯზე გაიზარდა - 73.96 ათასი ლარით და შეადგინა - 18 303.86 ათასი ლარი. ცვლილებისას რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დარჩა უცვლელი. თავისუფალი ნაშთიდან ბიუჯეტის დასაბალანსებლად ჯამურად გამოყენებულ იქნა - 2 781.24 ათასი ლარი (01.01.2019 წლისთვის თავისუფალი ნაშთი შეადგენდა 3 523.51 ათას ლარს, ხოლო გამოყენების შემდეგ 742.27 ათას ლარს);
- მე-4 ცვლილება (დამატება) რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში განხორციელდა 2019 წლის 7 ნოემბერს. წლიური ასიგნებები საშემოსავლო გადასახადის და თავისუფალი ნაშთის გამოყენების ხარჯზე გაიზარდა შესაბამისად - 277.38 და 60.88 ათასი ლარის ოდენობით და შეადგინა - 18 642.12 ათასი ლარი. ცვლილებისას შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა და განისაზღვრა - 15 800.0 ლარის ოდენობით, ხოლო

თავისუფალი ნაშთიდან ბიუჯეტის დასაბალანსებლად ჯამურად გამოყენებულ იქნა - 2 842.12 ათასი ლარი (01.01.2019 წლისთვის თავისუფალი ნაშთი შეადგენდა 3 523.51 ათას ლარს, ხოლო გამოყენების შემდეგ 681.39 ათას ლარს).

ცვლილებების გათვალისწინებით, 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული ასიგნებები განისაზღვრა - 18 642.12 ათასი ლარით. საკასო შესრულება ხასიათდებოდა მაღალი მაჩვენებლით და შეადგინა 17 947.98 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 96.2%-ია (იხ. ცხრილი N1).

**ცხრილი N 3.** აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

ათასი ლარი

| დასახელება | 2019 წლის დაზუსტებული გეგმა | 2019 წლის ფაქტი | სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი) | ფაქტი/ წლიური გეგმა |
|---|---|---|---|---|
| გადასახდელები | 18 642.12 | 17 947.98 | 694.14 | 96.2% |
| ხარჯები | 17 798.35 | 17 318.63 | 479.72 | 97.3% |
| შრომის ანაზღაურება | 7 950.84 | 7 915.90 | 34.94 | 99.5% |
| საქონელი და მომსახურება | 3 367.77 | 3 129.62 | 238.15 | 92.9% |
| სუბსიდიები | 3 485.77 | 3 359.09 | 126.68 | 96.4% |
| გრანტები | 119.59 | 115.58 | 4.01 | 96.6% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2 300.62 | 2 289.28 | 11.34 | 99.5% |
| სხვა ხარჯები | 573.76 | 509.16 | 64.6 | 88.7% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 843.77 | 629.35 | 214.42 | 74.6% |

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯების შესრულების დაბალი მაჩვენებლით დაფიქსირდა „სხვა ხარჯების" (88,7%) და არაფინანსური აქტივების ზრდის (74,6%) მუხლებში.

2019 წელს უწყებების შერწყმის შედეგად საბიუჯეტო დეპარტამენტმა განიცადა სტრუქტურული რეორგანიზა - შეიქმნა შემოსავლების მობილიზების სამმართველო, რომელმაც მიზანმიმართული მუშაობით ხელი შეუწყო რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდას. 2019 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 16 037.90 ათასი ლარი (იხ. დიაგრამა N3.), რაც დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით 1,5%-ით, 237.90 ათასი ლარით მეტია საპროგნოზო მაჩვენებელზე.

**დიაგრამა N 3.** სხვადასხვა შემოსავლების ხვედრითი წილები რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში

ათასი ლარი




2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 549.5 ათასი ლარით, ანუ 3.5%-ით (იხ.დიაგრამა N4). ტრანსფერის 40.3 ათასი ლარით[1] (0.5%), ხოლო სხვა შემოსავლების 118.3 ათასი ლარით (25%) შემცირების ფონზე, საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 707.70 ათასი ლარით (10.2 %).

**დიაგრამა N 4**. რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსულობების დეტალური შედარება




საბიუჯეტო პარამეტრების ფორმირების, დაზუსტების და ანალიზის გარდა დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მათ შორის:

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის I, II და III კვარტლის შესრულების ანგარიშები და განსახილველად წარედგინა აფხაზეთის ა/რ მთავრობას, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ანგარიშის შედგენის პროცესი ხასიათდებოდა სირთულეებით, ვინაიდან მხარჯავი დაწესებულებები არ აგზავნიდნენ შესრულების ანგარიშებს

[1] საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 10 მაისის განკარგულების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხა;

დადგენილ/მოთხოვნილ ვადებში, რაც აძნელებდა რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების კანონმდებლობით მოთხოვნილ ვადებში შედგენას;

- მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავდა და აფხაზეთის ა/რ მთავრობასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პროგრამების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ;
- მომზადდა და აფხაზეთის ა/რ მთავრობას წარედგინა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი;

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გარდა, დეპარტამენტის მიერ 2019 წლის დასაწყისში პირველად (საპილოტედ) მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის წლიური და 2019 წლის I კვარტლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგებები, რომლებიც წარედგინა აფხაზეთის ა/რ მთავრობას, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდგომ აღნიშნული ფუნქცია, ქვეყანაში აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად[2] დაევალა სახაზინო სამსახურს.

2019 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულ წლიურ ასიგნებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის გარდა დეპარტამენტი მხარჯავი დაწესებულებების მოთხოვნით ახორციელებდა მუხლობრივ ცვლილებებსაც. აღსანიშნავია, რომ წლის პირველ ნახევარში მხარჯავი დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში არ ასაბუთებდნენ ცვლილების მოთხოვნის აუცილებლობას, თუმცა დეპარტამენტის მიერ, უწყებების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდებოდა დროულად, შესაბამის უწყებებთან აქტიური მუშაობის შედეგად საკითხი არსებითად გამოსწორდა. წლის განმავლობში მომზადდა 336 ერთეული ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის 156 ერთეული და სხვადასხვა დანიშნულებით 180 ერთეული.

## *2.3 ეკონომიკური დეპარტამენტი*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- იგპ-თა მაქსიმალური ჩართულობა საქართველოს მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში;
- საქართველოს რეგიონებში განსახლებული დევნილებისათვის ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციების გაწევა პროექტების გასაცნობად;
- აფხაზეთიდან იგპ-თა დასაქმებაში ხელშეწყობა;
- სტატისტიკური აღრიცხვა.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

---

[2] საქართველოსა და აჭარის ა/რ რეპუბლიკის ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგებების შედგენას ახორციელებენ შესაბამისი საფინანსო უწყების სახაზინო სამსახურები.

დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფები და კომპანიები. შედგა მოლაპარაკებები მათ კომპანიებში არსებულ ვაკანსიებზე დევნილთა დასაქმებასთან დაკავშირებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას მიღებულ იქნა სრული მხარდაჭერა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში დეპარტამენტის ჩართულობის შესახებ.

მდ. ენგურის ე.წ. ,,გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები მეწარმეების ბიზნესის წარმოების ხელშესაწყობად მომზადდა 5 ბიზნეს პროექტი (თხილის გადამუშავება, კაკლის მოყვანა, დაფნის ფოთლის დაფასოება, მეფრინველეობის ფერმის შექმნა, საწვავი ბრიკეტების წარმოება), რომელიც გაიგზავნა სახელმწიფო პროგრამაში - სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე პროექტებმა დაფინანსება ვერ მოიპოვა, მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

გარდა ამისა, დეპარტამენტი თანამშრომლობდა სსიპ-თან ,,აწარმოე საქართველოში“ და შუამდგომლობდა აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეებს პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად. დამყარდა საქმიანი ურთიერთობები საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრთან ,,აფხაზეთი“ მცირე ბიუჯეტიანი პროექტების დაფინანსების კუთხით.

დეპარტამენტისა და დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად 2019 წელს აფხაზეთიდან დევნილმა ორმა ოჯახმა მიიღო დაფინანსება სასოფლო-სამეურნეო პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა მათივე კუთვნილ 250 კვ.მ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის სათბურის აშენებას. კერძოდ:

- ქ. სოხუმიდან დევნილი მზისადარ დანელია, მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში;
- ქ. სოხუმიდან დევნილი ზურაბ ჯინჯიხაძის ოჯახს, მცხოვრები ქ. ბორჯომში, ვაშლიჯვრის N4.

დეპარტამენტის ინიცირებით, სამინისტრომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - როგორც სამუშაოს მაძიებელთა, ასევე აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მცირე ბიზნესის განვითარებისა და სტარტაპების მხარდასაჭერად ბიზნეს პროექტებისა და ბიზნეს იდეების ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით სამინისტროს ვებ-საიტზე განათავსა შესაბამისი ინფორმაცია თანდართული სააპლიკაციო ფორმით.

2019 წელს დეპარტამენტის თანამშრომლები აგრძელებდნენ შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში განსახლებულ იგპ-თა კომპაქტურ ჩასახლებებში დევნილთა ბიზნეს აქტივობების მხარდასაჭერად. კერძოდ, მივლინებით იმყოფებოდნენ:

- ქ. ბორჯომში, სადაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება რეგიონში მოქმედ სამშენებლო კომპანიებში იგპ-თა შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ იგპ-თა დასაქმების კუთხით, საანგარიშო პერიოდში, დაზიანებული ბორჯომის ტყე-პარკის აღდგენით სამუშაოებში, დეპარტამენტის ხელშეწყობით დასაქმდა რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 23 პირი. სამუშაო სეზონურია, ამდენად პროექტი გრძელვადიანია. აღსანიშნავია, რომ შეხვედრების შედეგად

გამოიკვეთა დევნალთა სოციალური პრობლემები, რომელთა აღმოფხვრა განხორციელდა ადგილზე ადგილობრივ თითმმართველობასთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად;

- დასავლეთ საქართველოში - ზუგდიდში, ანაკლიასა და სენაკის რაიონში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან ბიზნეს იდეების შესასწავლად და მათი განხორციელების ხელშესაწყობად დეპარტამენტში განიხილეს და მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე საინტერესო ბიზნეს იდეაზე;
- ქ. ზუგდიდში, ბათუმსა და ქობულეთში დევნილ მეწარმეებსა და ბიზნესმენებთან შეხვედრისას გამოვლინდა დაინტერესება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ პროექტზე ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ". კერძოდ, გამოითქვა ერთობლიბვი ბიზნესის განხორციელების მზაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამემამულეებთან.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო:

- 30 ივნისს, თბილისში, რიყის პარკის ტერიტორიაზე გამართულ ბიზნეს გამოფენაზე ,,აფხაზეთი 2019";
- 25 სექტემბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ სემინარში ,,ბიზნესი და განათლება";
- 14 ოქტომბერს, ქ. მცხეთაში "მცხეთობა-სვეტიცხოვლობის" დღესასწაულზე გამართულ გამოფენა-გაყიდვაზე;
- 24 ოქტომბერს, ყვარელში მეღვინეობა ხარებას" მიერ ღვინის გვირაბის ტერიტორიაზე აგროტექნიკის მწარმოებელი გერმანული ბრენდის FENDT წარდგენის ღონისძიებაზე;
- 16 ნოემბერს, სასტუმრო ,,ჰოლიდეი ინნ"-ში აფხაზეთის ა/რ სამედიცინო დაწესებულებებისა და მედიცინის მუშაკთა ასოციაციის პირველ ფორუმში;
- 24 ნოემბერს, ქ. ზუგდიდში გამართული კოლხური ღვინის ფესტივალში „დია".

დევნილების დასაქმების მიზნით შედგა შეხვედრები ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დეპარტამენტის თანამშრომლები დაესწრნენ მათ მიერ ორგანიზებულ ბიზნეს ფორუმებსა და სემინარებს.

დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა სტატისტიკური აღრიცხვა. 2019 წელს მომზადდა:

- ოთხი *<u>სტატისტიკური ბიულეტენი</u>*[3] (2018 წლის IV კვარტლის (წლიური), 2019 წლის I, II და III კვარტლის);
- ოთხი *<u>ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ</u>*[4] (2018 წლის წლიური, 2019 წლის I კვარტალში, 6 თვესა და 9 თვეში);

---

[3] სტატისტიკურ ბიულეტენში ასახულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორისა (სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოები) და საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მართული ორი ორგანიზაციის (შპს ,,ენგურჰესი" და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი") ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები - ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, სუბსიდიები, დასაქმებულთა რიცხოვნობა, შრომის ანაზღაურება, შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ფისკალური მონაცემები

[4] ანგარიში მზადდება საანგარიშო პერიოდის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ა/რ სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ა/რ მთავრობას. ანგარიში

- ანგარიში სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიერ 2019 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის, განხორციელებული ცვლილებებისა და სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებსა და პრეზენტაციებში:

- *„ციფრული მარკეტინგი“.* ტრენინგი ჩატარდა სასტუმრო Cron Palace Tbilisi აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით. მონაწილეები გაეცნენ ციფრული ტექნოლოგიების ახალი ტენდენციებსა და მნიშვნელობას თანამედროვე ბიზნესის განვითარების საქმეში;
- *„ბიზნეს პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები“.* ტრენინგი ჩატარდა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით. კურსის მიზანი იყო ბიზნეს პროექტების შედგენაში ცოდნის გაღრმავება შემდგომში დევნილი მეწარმეებისა და სტარტაპერებისათვის ხელშეწყობისა და კვალიფიციური კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით;
- ტრენინგში *„გენდერული სტატისტიკის შესახებ“;*
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და დანიის სტატისტიკის სამსახურს შორის, ევროკავშირის პროგრამა TWINNING-ის პროექტის გახსნის ცერემონიაზე *„საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარება“;*
- საქსტატის მიერ გამართულ ღონისძიებაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ მეთოდოლოგიაზე (SNA 2008) გადასვლასთან დაკავშირებით;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ახალი პროდუქტის *„დემოგრაფიული პორტალი“* პრეზენტაციაზე.

აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო, ათწლეულების მანძილზე დაგროვილი სტატისტიკური მასალა სრულად განადგურდა. 1996 წელს აფხაზეთის ა/რ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სტატისტიკის სამსახური, გამოსცეს 1985-1990 წ.წ. აფხაზეთის ა/რ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური კრებული. კრებულში მოყვანილი მასალები მოპოვებულ იქნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივსა და დარგობრივ სამმართველოებში. ამასთან, ინფორმაციის გარკვეული ნაწილი მოწოდებული იყო აფხაზეთის ა/რ სამინისტროებისა და უწყებების

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ მოიცავს: დემოგრაფიული მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს, იგპ-თა მიმართ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ პროექტებს, გატარებულ ღონისძიებებს; იგპ-თა მიმართ გატარებულ ჯანდაცვით, საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სხვა პროგრამებს, აფხაზეთის ა/რ საწარმოების ბრუნვას და გამოშვებას, ამ ინდიკატორების შედარებას წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, დინამიკის ჩვენებას გრაფიკულ გამოსახულებაში; აგრარულ სექტორში გატარებულ ღონისძიებებს; აფხაზეთის ა/რ კუთვნილი ქონების მართვას, პრივატიზებას; სახელმწიფო 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს-ების მართვის შედეგებს; აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოდინამიკურ მონიტორინგსა და გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებას; რესპუბლიკური ბიუჯეტის პარამეტრების მაჩვენებლებს

მიერ. კრებული იყო მოთხოვნადი, თუმცა არსებობდა შეზღუდული რაოდენობით და ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული პირებისათვის. გარდა ამისა, საჭიროებდა განახლებასა და კორექტირებას. ამ მიზნით, განხორციელდა მისი რედაქტირება და ხელახალი გამოცემა. მონაცემები შემოწმდა აღწერის პირველადი მასალებიდან. აღმოჩენილი ცდომილებები გასწორდა. შეიცვალა დიზაინი, შესავალი, სარჩევი, წინასიტყვაობა. დაიწყო კრებულის თარგმნა აფხაზურ და ინგლისურ ენებზე.

## *2.4 ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- აფხაზეთის ა/რ საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით გადაცემა და განკარგვა;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა, მათი ბიზნეს-გეგმების დამტკიცება;
- კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგების მიღება-ანალიზი;
- მოგების რეინვესტირებაზე წინადადებების შემუშავება;
- საწარმოების ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

*შესრულებული სამუშაო*

2019 წლის მდგომარეობით აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შემავალი სტრუქტურების სარგებლობაში იყო 27 386.67 ათასი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავ ქონება (იხ. ცხრილი N4).

**ცხრილი N 4.** აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შემავალი სტრუქტურების სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება

ათასი ლარი

| დასახელება | ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|
| საცხოვრებელი შენობები | 25. 74 | ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ პაციენტთა თანმხლები პირებისათვის განკუთვნილი დროებითი საცხოვრისი ქ. თბილისში, კალოუბნის 16, მე-2 სართული |
| არასაცხოვრებელი შენობები | 13 594. 5 | აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებისათვის განკუთვნილი შენობები |
| ნაგებობები | 21.68 | მსუბუქი კონსტრუქციები |
| სატრანსპორტო საშუალება | 731.55 | 46 ერთეული ა/მ |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 775.51 | ძირითადი საშუალებები |
| კულტივირებული აქტივები | 9.60 | დაკალმებული ბზის ნერგები |
| ინტელექტუალური აქტივები | 56.64 | საბუღალტრო, სახაზინო და სხვ. პროგრამები |

| | | |
|---|---|---|
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 12 153.15 | ქ. თბილისში, კრწანისის ქ. 85ა - 15 000 კვ. მ; ზუგდიდის რაიონში, სოფ. რიყე - 185 766 კვ.მ; ქ. თბილისში, გლდანის რაიონი - 70 000 კვ.მ; ხობში, სოფ. ხამისკური - 4 202 კვ.მ |
| ხელოვნების ნიმუშები | 4.40 | ნახატები |
| სხვა ფასეულობები | 13.46 | კინოფირები |
| **სულ** | **27 386. 67** | |

2019 წელს სამინისტროს გადმოეცა 11 მოძრავი და 1 უძრავი ქონება, ხოლო სხვადასხვა უწყებას გადაეცა 11 მოძრავი და 5 უძრავი ქონება. გარდა ამისა, რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროს მიერ საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტს გადაეცა ჯამში 331.00 ათასი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება (იხ. ცხრილი N5).

**ცხრილი N 5.** სამინისტროს მიერ საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტისათვის გადაცემული უძრავ-მოძრავი ქონება

ათასი ლარი

| **დასახელება** | **ღირებულება** |
|---|---|
| ძირითადი აქტივები ნარჩენი საბალანსო ღირებულებით | 243. 89 |
| ძირითადი აქტივები | 31.86 |
| ამორტიზირებული ძირითადი აქტივები პირველადი საბალანსო ღირებულებით | 12.91 |
| ანგარიშზე ასახული მოთხოვნები | 12.77 |
| მატერიალური მარაგები | 29.59 |
| **სულ** | **331.00** |

2019 წლის ივნისში, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ იქნა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემული 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებითი ელექტრონული აუქციონი. აღნიშნულის შედეგად გაყიდულ იქნა 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. აღნიშნულის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართა სულ 24.85 ათასი ლარი (იხ. ცხრილი N6).

**ცხრილი N 6.** ელექტრონული აუქციონის გზით რეალიზებული ავტომობილები

ათასი ლარი

| **დასახელება** | **სახ. ნომერი** | **გამოშვების წელი** | **ღირებულება** |
|---|---|---|---|
| MERCEDES-BENZ C 240 | IIW-454 | 2004 | 5.85 |
| MITSUBISHI OUTLANDER | SSA-619 | 2003 | 2.15 |

| | | | |
|---|---|---|---|
| MERCEDES-BENZ 230 | KK237KT | 1995 | 2.55 |
| TOYOTA 4-RUNERR | SKY-183 | 2002 | 9.35 |
| MERCEDES-BENZ E 320 CDI | OO377NN | 2001 | 4.95 |
| **სულ** | | | **24.85** |

*საწარმოთა მართვა*

სამინისტრო მართავდა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ 15 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს), რომელთაგან 14 არის სამედიცინო პროფილის, ხოლო შპს ,,ავტოტრანსსერვისი“ იმყოფება სალიკვიდაციო რეჟიმში. აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებებიდან *7 ფუნქციონირებს ქალაქ თბილისში*[5], *ხოლო 7 - დასავლეთ საქართველოში*[6]. დასაქმებული იყო 403 ადამიანი, რომელიც ემსახურებოდა 90 ათასზე მეტ ბენეფიციარს. ყველა შპს ორიენტირებული იყო მოგების მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებებს უწევდათ მუშაობა მაღალ კონკურენტუნარიან გარემოში. წლების მიხედვით შემოსავლებისა და მოგების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

**დიაგრამა N 5.** სამედიცინო დაწესებულებების შემოსავლის და მოგების დინამიკა წლების მიხედვით

ათასი ლარი




[5] ,,შპს “საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთი”; შპს “დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „დიოსკურია”; შპს “დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი”; შპს “ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონსულტაცია”; შპს “აფხაზეთის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი”; შპს “აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიური კლინიკა”

[6] ქუთაისში - შპს ,,დევნილთა საოჯახო ცენტრი ,,ბიჭვინთა“; წალენჯიხაში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ჯვარის ამბულატორია“; ხობში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“; წყალტუბოში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“; სენაკში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ სენაკის პოლიკლინიკა“; ზუგდიდში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკა“; ფოთში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ფოთის პოლიკლინიკა“

2019 წლის სავარაუდო მოგება წინასწარი გათვლებით შეადგენს 144.00 ათას ლარს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 83.00 ათასი ლარით.

სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებების ეფექტიანი მართვა და კონტროლი, რათა გაუმჯობესდეს როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე შემოსავლების მაჩვენებელი.

ამ მიზნით, სამინისტრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ყოველწლიურად ახდენდა სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიღებული ყოველწლიური მოგების ნაწილის რეინვესტირებას ბაზარზე კონკურენტუნარიანობის და მოგების მაჩვენებლის ასამაღლებლად. 2019 წელს საწარმოებში რეინვესტირდა მოგების 75%, დაახლოებით - 44.00 ათასი ლარი, ხოლო ბიუჯეტში დივიდენდის სახით მიმართულ იქნა დაახლოებით 7.00 ათასი ლარი.

სამედიცინო დაწესებულებებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მათი სამართლებრივი ფორმით განთავსება. დღეის მდგომარეობით საკუთარი ფართით უზრუნველყოფილია შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ზუგდიდის პოლიკლინიკა“, შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ჯვარის ამბულატორია“.

უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ფართები შპს ,,ზ. ხუბუტიას საოჯახო მედიცინის ცენტრ დიოსკურიაზე“, შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ოფთალმოლოგიურ კლინიკაზე“. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენი შპს-ების კანონიერად განთავსების საკითხზე.

სამედიცინო დაწესებულებების განთავსების კანონიერ ჩარჩოში მოქცევის მიზნით სამინისტრომ დაიწყო ვარკეთილში, კალოუბნის N16 - ში განთავსებული 3 სამედიცინო დაწესებულებების (გარდა ფსიქონევროლოგიური დისპანსერისა) შერწყმა. ამასთანავე, 2019 წელს დაიწყო სხვა დანარჩენი სამედიცინო დაწესებულების შერწყმის საკითხებზე მუშაობა. ჩატარებული *SWOT - ანალიზის*[7] საფუძველზე, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესებას, ასევე ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება როგორც ბენეფიციართა მომსახურების ხარისხზე, ასევე მოგების მაჩვენებელზე.

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“. თანამშრომლობის პროცესში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ქონების სამედიცინო დაწესებულებებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე. ასევე, ნაბიჯები გადაიდგა ვაზიანის დასახლებაში

---

[7] SWOT-ანალიზი - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი. SWOT- ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს: S — strengths (ორგანიზაციის ძლიერი მხარე); W — weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); O — opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); T — threats (მოსალოდნელი საფრთხე). SWOT-ანალიზის გაკეთების დროს განიხილება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და საშიშროებები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას. SWOT-ანალიზის ჩატარება მოითხოვს ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე მისი გარემოს გულწრფელ ანალიზს. საჭიროა ეს ანალიზი მიესადაგოს არამარტო გუნდის წევრებს, არამედ მთელ ორგანიზაციას.

სამინისტროსა და თურქეთის განვითარებისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA-ს ჩართულობით  განხორციელებული სოციალური დანიშნულების ობიექტის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დამატებითი სამუშაო ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ შემუშავდა და აფხაზეთის ა/რ მთავრობას წარედგინა უწყების განთავსების 3 ალტერნატიული ვარიანტი.

## *2.5 იურიდიული დეპარტამენტი*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა და სამართლებრივი დასკვნების მომზადება ან/და ვიზირება;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და ინტერესების დაცვა;

*შესრულებული სამუშაო*

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა განახორციელა 50 სამართლებრივი აქტის ექსპერტიზა (წერილობითი პოზიცია) და ცვილებების ინიცირება, რომლებიც შემდგომი სამართლებრივი პროცედურებისათვის იგზავნებოდა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტში (შემდგომში იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატს), აფხაზეთის ა/რ მთავრობაში და აფხაზეთის ა/რ მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებში.

2019 წელს დეპარტამენტის მიერ შემუშავდა და გამოიცა 426 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი (იხ. ცხრილი N7).

**ცხრილი N 7.** დეპარტამენტის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტები კატეგორიების მიხედვით

| N | კატეგორია | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | დანიშვნა-გათავისუფლება, რეზერვში ჩარიცხვა, შრომითი ხელშეკრ. შეწყვეტა, ადმინისტრაციული ხელშეკრ. შეწყვეტა, სამსახური უფლებამოსილების შეჩერება-აღდგენა, სტაჟირება, სახელფასო დანამატის გაცემა | 178 |
| 2 | შვებულება, შვებულებიდან გამოძახება, მივლინება | 173 |
| 3 | საშტატო ნუსხის დამტკიცება, თანხმობის მიცემა | 4 |
| 4 | რეორგანიზაციასთან დაკავშირებული | 9 |
| 5 | გეგმის, ანგარიშგების ფორმების (შპს) დამტკიცება, კორექტირება, რეინვესტირება | 11 |
| 6 | საწარმოთა შერწყმა, კაპიტალის ცვლილება | 12 |
| 7 | მუდმივმოქმედი კომისია | 1 |
| 8 | ბიუჯეტის ცვლილება | 3 |
| 9 | სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემა | 24 |
| 10 | აქტივების ჩამოწერა | 3 |
| 11 | ლიმიტების განსაზღვრა | 8 |
| | **სულ** | **426** |

2019 წელს ორი უწყების შერწყმის პროცესში დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი პროცედურა. ყველა ეტაპზე გამოიცა შესაბამისი ბრძანებები, რის შესახებაც წერილობით ეცნობა საჯარო სამსახურის ბიუროს. რეორგანიზაციის პროცესში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- თანამდებობებიდან გასათავისუფლებელი საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის შესაბამისი, როგორც ტოლფასი, ასევე, დაბალი თანამდებობების იდენტიფიცირება და შესაბამისი ვაკანტური თანამდებობების მქონე დაწესებულებებისათვის მიმართვა;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ 2019 წლის 13 სექტემბრის N24 დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი და აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2019 წლის 26 სექტემბრის N56 განკარგულებით დამტკიცდა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოები, რომლის შესაბამისად განხორციელდა ნაწილი პროფესიული საჯარო მოხელეები გარე მობილობის სიიდან გადაყვანა აღნიშნულ საქვეუწყებო დაწესებულებაში;
- შემუშავდა და გაიგზავნა კორესპონდენციები გარე მობილობას დაქვემდებარებულ მოხელეთა სია, დაკავებული პოზიციის, თანამდებობრივი რანგის, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის მითითებით 64 უწყებაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებული რეესტრის მიხედვით;
- შესაბამისი ვაკანტური თანამდებობების მქონე საჯარო დაწესებულებებთან, საჯარო მოხელეთა მობილობის საკითხის შეთანხმება ვერ განხორციელდა და შესაბამისად გამოიცა ბრძანებები მობილობას დაქვემდებარებული პირების თანამდებობებიდან გათავისუფლების და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ;
- რეორგანიზაციის შემდგომ ჩატარდა კონკურსები 8 ვაკანტური თანადმებობის დასაკავებლად. ასევე უნდა აღინიშნოს, მონიტორინგის მიზნით კონკურსს (გასაუბრებას) ესწრებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი, საიდანაც შენიშვნები არ მიგვიღია;
- რეორგანიზაციის შედეგად დეპარტამენტის მიერ შემუშავდა და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სამინისტროს, სტრუქტურული ერთეულების და კონტროლს დაქვემდებარებული უწყებების დებულებები და დებულებაში ცვლილების პროექტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დეპარტამენტი წარმოადგენდა სამინისტროს ინტერესებს სხვადასხვა უწყებებში. საანგარიშო პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სარჩელთან და 15 შემთხვევაში შრომითი სტაჟის დადგენასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

## *2.6 აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- აგრარული, გარემოსდაცვითი და დარგობრივი ეკონომიკის მიმართულებებით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის მიზნით მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, პროექტების ინიცირება და მათი დაფინანსების წყაროების მოძიება;

- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ეკონომიკური აქტივობების მხადაჭერის მიზნით აგრარულ, გარემოსდაცვით და დარგობრივ საკითხებზე რეკომენდაციების მომზადება;
- შემუშავებული პროგრამებისა და ინიცირებული პროექტების იმპლემენტაციის მხარდაჭერა სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარული, გარემოსდაცვითი და დარგობრივი მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების მიზნით სათანადო წინადადებების მომზადება;
- პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგი, მიღწეული შედეგების ანალიზი და ახალი ინიციატივების მომზადება;
- შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო და არასამთავრობო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური შეიქმნა 2019 წლის ოქტომბერში.

- ინიცირებული და შედგენილია სარეკომენდაციო ხასიათის ტიპიური პროექტი „ხილის, კენკროვნების და ბოსტნეულის საშრობი“;
- მომზადდა სარეკომენდაციო წინადადებები ქვემო ქართლში (ყოფილი სამხედრო დასახლება ,,პობედა“) მცხოვრებ იგპ-თა საარსებო წყაროებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ გეოგრაფიული მდებარეობის, ინფრასტრუქტურის და არსებული პირობებიდან გამომდინარე ერთადერთი საქმიანობა, რასაც დევნილები შეძლებენ არის მესაქონლეობა;
- სამინისტროს ხელმძღვანელობის დავალებით სამსახურის სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2019 წელს დაასრულა მუშაობა ახალი ინსექტიციდური პრეპარატის შექმნაზე ,,პალმის წითელი გრძელცხვირა“ (Rhynchophorus ferrugineus) მავნებლის და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებელ პეპელას Lepidoptera Linnaeus-ს გასანადგურებლად. ამჟამად სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან“ მიმდინარეობს კონსულტაციები და სათანადო რეკომენდაციები მისი პრაქტიკულ (საველე) ტესტირებასთან თაობაზე;
- დაფნის მინი-საამქროს გაფართოების მიზნით სოფ. ახალ კახათში მცხოვრებ ინდ.მეწარმის გიორგი რაფავას მიერ ინიცირებული პროექტის შესაძლო განხორციელების მიზნით ადგილზე შედგენილ იქნა ობიექტის ესკიზი სამუშაო ფართების განსაზღვრით. ამასთან ერთად, სამსახურის მიერ ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. გაწერილი პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმის თანახმად მან შეადგინა ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა და წარმოადგინა სრულბიუჯეტიანი პროექტი;
- სამსახურმა განახორციელა ინდ.მეწარმე მარიკა გოგოხიას მიერ ინიცირებული პროექტის ,,ხურმის შრობა-რეალიზაცია“ ხელშესაწყობად არსებული საწარმოს ადგილმდებარეობისა და მისი ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, საჭირო რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევა;

- სამსახურის მიერ ინიცირებული და შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამა „სოფლის მეურნეობისა და მისი დარგების პოპულარიზაცია აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწაავლეებში“ ახალგაზრდობის აგრარულ სფეროში მოზიდვის მიზნით. პროგრამა მოიცავს თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის აფხაზეთის საჯარო სკოლებს;
- სამსახური დავალების თანახმად მუშაობს მონაცემთა ბაზის სრულყოფაზე. ბაზა მოიცავს პროექტებსა და პროგრამებს, ასევე დევნილი მეწარმეებისა და იმ დევნილთა მონაცემთა რეესტრს, რომელთაც გააჩნიათ სურვილი მოახდინონ თვითრეალიზაცია სოფლის მეურნეობის დარგში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ სხვადასხვა სახის კონსულტაციები და რეკომენდაციები გაეწიათ დამწყებ და მომქმედ დევნილ მეწარმეებსა და ფერმერებს, რომელთა მონაცემებიც შეტანილ იქნა საერთო მონაცემთა ბაზაში.

## *2.7 სახაზინო სამსახური*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული საგადამხდელო დოკუმენტების მიღება და დამუშავება;
- რესპუბლიკური ნაერთი (კონსოლიდირებული) პერიოდული და წლიური ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში სამსახურის მიერ 2019 წლის განმავლობაში დამუშავდა 4 504 ერთეული ვალდებულების დოკუმენტი, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან[8] შედარებით 2 544 ერთეულით ნაკლებია. მიღებული ვალდებულების დოკუმენტების წინა წელთან შედარებით შემცირება გამოიწვია ინსტრუქციის ცვლილებამ, რომლის მიხედვით ორგანიზაციებმა 2019 წლიდან დაიწყეს ვალდებულებების აღება წლიური ხელშეკრულების თანხაზე (ერთიანად), ნაწილობრივად (პერიოდულად) აღების ნაცვლად. ასევე, საანგარიშო პერიოდში დამუშავდა 35 919 საგადახდო მოთხოვნა, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან[9] შედარებით 4 459 ერთეულით მეტია. აღნიშნული განპირობებული იყო რესპუბლიკური ბიუჯეტის პარამეტრების ზრდით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე და საბიუჯეტო დეპარტამენტს მოთხოვნისთანავე აწვდიდა ინფორმაციას ბიუჯეტის შემოსულობებისა და დეტალური ხარჯების შესახებ ნაზარდი ჯამით.

სახაზინო სამსახური კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებდა თავისუფალი სახსრების კონტროლს და დეპოზიტზე განთავსებას. 2019 წელს დეპოზიტზე დარიცხული პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 334.00 ათასი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან (405.30 ათასი ლარი) შედარებით 71.3 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნული განაპირობა დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის

---

[8] 7 048 ერთეული 28 328.00 ლარის ღირებულების ვალდებულების დოკუმენტი.
[9] 31 460 ერთეული 16 080.00 ლარის ღირებულების საგადახდო მოთხოვნა.

შემცირებამ (2018 წელს იყო 8%, 2019 წლიდან გახდა 7.75%) და ანგარიშზე ყოველდღიური საშუალო ნაშთის კლებამ.

სამსახური ყოველთვიურად ახორციელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის და რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხვის სისწორის შემოწმებას, რაც საერთო ჯამში აისახა საშემოსავლო გადასახადის გაზრდილ წლიურ მაჩვენებელზე.

2019 წლის მე-2 კვარტლიდან სახაზინო სამსახურს დაემატა ახალი ფუნქცია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) პერიოდული და წლიური ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა, რაც თავისთავად საჭიროებდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგებებისა და დანართი ფორმების შემოწმებას, ანალიზსა და შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას.

დაკისრებული ფუნქციის შესაბამისად, სამსახურმა შეადგინა 2019 წლის 6 და 9 თვის ბუღალტრული ანგარიშგებები. მუშაობის პროცესი გაართულა მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბუღალტრული ანგარიშგებების წარდგენის ვადების ხშირმა დარღვევებმა. ამასთანავე, წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების დანართი ფორმების ჯვარედინი გადამოწმებით, ფაქტიური ხარჯების სახაზინო პროგრამის მონაცემებთან შედარებით და მონაცემების არითმეტიკული გადაანგარიშებით 11 ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებებში გამოვლინდა არსებითი სახის უზუსტობები და შეუსაბამობები, რაც ეცნობათ წერილობით და გამოსასწორებლად მიეცათ გონივრული ვადა.

დამატებით დაკისრებულმა ახალმა ფუნქციამ განაპირობა სახაზინო სამსახურის, ასევე აფხაზეთის ა/რ მთავრობის სისტემაში მომუშავე თანამშრომლების გადამზადების აუცილებლობა. შესაბამისად, სამსახურის ორგანიზებით აფხაზეთის ა/რ სისტემაში მომუშავე 21 თანამშრომელს (ბუღალტრები), ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით და კოორდინაციით 2019 წელს სახაზინო სამსახურის ინიციატივით მომზადდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზე გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N01/69 „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, რაც ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოებისა და შესაბამისი რესპუბლიკური ნაერთი (კონსილიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის აუცილებელი წინაპირობა იყო. ამასთანავე, მხარჯავ დაწესებულებებს ნიმუშის სახით გადაეგზავნათ სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრის N01/70-ს ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.

## *2.8 საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;
- სამინისტროს ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანა, დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განაწილება და ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მომზადება სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად;
- სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამინისტროს მოსამსახურეებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ, მომზადდა სამინისტროს 2018 წლის წლიური ბუღალტრული ანგარიშგება. ამასთანავე, სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე, მომზადდა 2018 წლის  წლიური, 2019 წლის I, II და III კვარტლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ბუღალტრული ანგარიშგება.

გარდა აღნიშნულისა, სამსახურის მიერ შემუშავდა 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განწერა, სამინისტროს 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი და 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი.

რეორაგანიზაციის შემდგომ სამსახურს დაემატა ახალი ფუნქციები. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისა და სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით, რის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პორტალის CMR მოდულში ჯამში აიტვირთა 111 ერთეული 176.65 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება. მათ შორის, 10 წლიური ხელშეკრულება - 12.89 ათას ლარზე, 13 კონსოლიდირებული ხელშეკრულება 81.87 ათას ლარზე და 88 ერთჯერადი ხელშეკრულება 81.89 ათას ლარზე;
- ხორციელდებოდა კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
- უზრუნველყოფილ იქნა სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობის გამართულობა და გატარდა სავალდებულო ტექ.ინსპექტირებისათვის ყველა საჭირო ღონისძიება;
- წარმოებდა ყოველდღიური კონტროლი სამინისტროს სამორიგეო ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე;
- მოწმდებოდა სამინისტროში არსებული ხანძრის აღმომჩენი სისტემა.

სამსახურში სისტემატურად ხორციელდებოდა ელექტრონულ სისტემაში (https://edocument.ge) დოკუმენტბრუნვის წარმოება. შესრულდა სულ 507 დოკუმენტი. სამსახური მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში (https://www.etreasury.ge) და აკონტროლებდა ატვირთულ დოკუმენტებს (პირველადი დოკუმენტი, ინვოისი, ვალდებულება, საგადახდო მოთხოვნა, სახელფასო უწყისები). დარეგისტრირდა სულ 111 ხელშეკრულება, 257 ვალდებულება, 403 პირველადი დოკუმენტი, 476 ინვოისი, 2289 საგადახდო მოთხოვნა, შრომის ანაზღაურების 187 უწყისი. წარმოებდა ელექტრონული პროგრამული ბუღალტერია. ყოველთვიურად შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ პორტალზე (rs.ge) მიმდინარეობდა საშემოსავლო დეკლარაციის ატვირთვა.

## *2.9 შიდა აუდიტის სამსახური*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- შიდა აუდიტის დეპარტამენტის წლიური და სტრატეგიული გეგმების შემუშავება;
- სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;
- შიდა აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი.

*შესრულებული სამუშაო*

2019 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა 2018 წელს გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში, აგრეთვე, შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და 2020-2022 წლების სტრატეგიული გეგმა და 2020 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტი განხორციელდა 4 ორგანიზაციაში (იხ. ცხრილი N8):

**ცხრილი N 8.** ორგანიზაციებში განხორციელებული შიდა აუდიტი

| აუდიტის ობიექტი | აუდიტის ვადა | აუდიტის სახე | გეგმ. /არაგეგმ. აუდიტი |
|---|---|---|---|
| შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრი, „დიოსკურია “ | 06.02.2019 -5.03.2019 | ფინანს. /შესაბ. | გეგმური |
| შპს, „აფხაზეთიდან იგპ ჯვარის ამბულატორია “ | 01.04.2019 -5.05.2019 | ფინანს. /შესაბ. | გეგმური |
| შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრი - „აფხაზეთი“ | 11.06.2019 -5.07.2019 | ფინან. /შესაბ. | გეგმური |
| სსიპ ,,ბიზნეს-ინკუბატორი“ | მიმდინარე აუდიტი | შესაბ. | გეგმური |

განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გამოვლენილ იქნა ძირითადი დარღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:

- აუდიტის ობიექტების მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად, სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს ორგანიზაციების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური საქმიანობის შედეგებს;

- დამფუძნებლისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავდა აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის №01/104 ბრძანებით დამტკიცებული ფორმების ნაწილს და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ განმარტებითი შენიშვნების ფორმას;
- აუდიტის ობიექტების წესდებებით განსაზღვრულია იმ ხელშეკრულებების დამფუძნებელთან/პარტნიორთან შეთანხმების წესი, რომელთა ღირებულებები აჭარბებებს ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალის 15%-ს, მიუხედავად აღნიშნულისა, დადგენილი წესის უგულვებელყოფით (დამფუძნებლის ნებართვის გარეშე) დაფიქსირდა თანხების ხარჯვის ფაქტები, რითაც შეიქმნა ფულადი სახსრების არარაციონალურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები;
- ცალკეულ შემთხვევებში აუდიტის ობიექტების მიერ გაწეულია ბიზნეს-გეგმებთან შეუსაბამო ხარჯები;
- შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრ ,,დიოსკურიისა“ და შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ჯვარის ამბულატორიის“ მიერ წესდების მოთხოვნების დარღვევით საანგარიშგებო მოგების გამოყენება განხორციელებულია დამფუძნებლის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;
- აუდიტის ობიექტების 2018 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნური დაყოფისა და მონეტარული ზღვრების დარღვევების ფაქტები;
- აუდიტის ობიექტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციების შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა განხორციელებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით. აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საერთოდ არ არის ატვირთული სისტემაში;
- აუდიტის ობიექტების მიერ საშტატო ნუსხა და სახელფასო განაკვეთები/კალკულაციები წესდების მოთხოვნათა უგულვებელყოფით არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან;
- სამედიცინო დოკუმენტაციის (თანხმობის ფორმების) შევსების მდგომარეობის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ აუდიტის ობიექტებში 2018 წლის განმავლობაში თანხმობის ფორმების შევსებისას ადგილი ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებს.

*<u>მონიტორინგი</u>*

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ორგანიზაციებში შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრი - ,,დიოსკურია“, შპს ,,საოჯახო მედიცინის ცენტრი - ,,აფხაზეთი, შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“ (განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი).

აუდიტის ობიექტები (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) ვალდებული იყვნენ გაეტარებინათ საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშებში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად და შესაბამისი შედეგების მისაღებად, რაც მათი მხრიდან არაჯეროვნად იქნა განხორციელებული (იხ. დიაგრამა N6).

**დიაგრამა N 6.** რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა




*<u>კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები</u>*

2019 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში/სასწავლო კურსებში:

- სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ,,სახელმწიფო შესყიდვების კურსი“;
- სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსი „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგება“;
- სასწავლო კურსი ,,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და საგადასახადო საქმე“.

# 3. სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ 2019 წელს განხორციელებული აქტივობები

## *3.1 საქვეუწყებო დაწესებულება-აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარული სერვისების მიწოდების საკითხებში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელების ორგანიზება;
- დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
- სოფლად მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სისტემატური საკონსულტაციო მომსახურება მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების თაობაზე;
- დევნილ ფერმერთათვის სარეკომენდაციო ხასიათის ბეჭდვითი მასალების გამოცემა;

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის N307 განკარგულებით დამტკიცდა „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის“ სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში დეპარტამენტს დაევალა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება. გაანალიზებულ იქნა წინა წლების გამოცდილება და შემუშავდა სამუშაო გეგმა. ქიმიურად დასამუშავებელი ფართობების გათვალისწინებით ოკუპირებული გალის რაიონი (ძველ საზღვრებში) პირობითად დაიყო 11 ზონად. ადგილობრივი მოსახლეობის რეკომენდაციით და წინა წლების გამოცდილებით შეირჩა ამ ზონების ხელმძღვანელები, რომლებმაც რამდენჯერმე გაიარეს შესაბამისი ტრენინგები, ორგანიზება გაუწიეს გამოყოფილი ქიმიური პრეპარატისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადატანას ოკუპირებულ რეგიონში და აგროტექნიკური ვადებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით უზრუნველყვეს სამუშაოების კოორდინირება. წამლობის პერიოდში (4 თვე) ზონის ხელმძღვანელების ხელფასის სახით აუნაზღაურდათ 30.8 ათასი ლარი.

2019 წელს პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ა/რ მთავრობას გადმოეცა 672.33 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი (იხ. ცხრილი N9).

**ცხრილი N 9** აფხაზეთის ა/რ მთავრობისათვის გადმოცემული სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი

ათასი ლარი

| **დასახელება** | **რაოდენობა** | **ერთეული ფასი** | **ფასი** |
|---|---|---|---|
| ქიმიური პრეპარატი „INSAKAR-EK“ | 20 000 ლიტრი | 31.56 | 631.20 |
| სატყუარა ფერომონი | 1 000 ცალი | 25.44 | 25.44 |
| ხელთათმანი | 200 ცალი | 2.41 | 0.48 |
| კომბინეზონი | 200 ცალი | 11.89 | 2.378 |
| სათვალე | 200 ცალი | 7.05 | 1.41 |
| რესპირატორი | 200 ცალი | 57.10 | 11.42 |
| *სულ* | | | ***672.33*** |

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატთან და სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადმოცემული 20 000 ლიტრი ქიმიური პრეპარატიდან 10 000 ლიტრი (315.60 ათასი ლარის

ღირებულების) და 500 ცალი სატყუარა ფერომონი (500 X 25,44=12.72 ათასი ლარი), ჯამში 328.32 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „დიალოგი“ მეშვეობით გადაეცა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას.

დეპარტამენტს რეზერვში ჰქონდა 2018 წლის სექტემბრის თვეში გადმოცემული 10 000 ლიტრი პრეპარატი, საიდანაც 7 924 ლიტრი (7 924 X 31,56 ლარი = 250.08 ათასი ლარი) გამოყენებულ იქნა პირველადი შეწამვლისათვის 2019 წელს გალის რაიონის ძველ საზღვრებში ქიმიური წამლობის ჩასატარებლად, ხოლო 2 076 ლიტრით (2076 X 31,56 ლარი = 65.52 ათასი ლარი) დამუშავდა დამხმარე და მიტოვებული შენობა-ნაგებობები. ამ ღონისძიების ჩატარება იქ მცხოვრები მოსახლეობის განცხადებით გამოდგა ძალიან ეფექტური, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ამ მავნებელი მწერის გამრავლება.

2019 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მთლიანად გადაგზავნილ იქნა 947.93 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი, მათ შორის დეპარტამენტის სპეციალისტების მეშვეობით - 619.61 ათასი ლარის, ხოლო აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ - 328.32 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი.

დეპარტამენტის სპეციალისტებისა და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ზონების ხელმძღვანელების ორგანიზებით პროგრამის ფარგლებში პირველადი წამლობა ჩატარდა 13121 ჰა მრავალწლიან ნარგავებზე, რისთვისაც გაიხარჯა 7832 ლიტრი ქიმიური პრეპარატი. მეორე წამლობაზე დამუშავდა 12870 ჰა მრავალწლიანი ნარგავები, რისთვისაც გაიხარჯა 7728 ლიტრი ქიმიური პრეპარატი. ასევე ქიმიურად დამუშავდა 5200 ჰა ერთწლიანი კულტურები (სიმინდი).

აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის, ნაწილობრივ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებში მცხოვრები 60 ათასზე მეტი მოსახლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მათივე განცხადებით, თხილის მოსავლიანობა 2016 წელთან (პროგრამის დაწყების წელი) შედარებით გაიზარდა 70-80%-ით და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსავლის ხარისხი, როგორც მრავალწლიან, ასევე ერთწლიან კულტურებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის აქტივობა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის იმპლემენტაციაში 2017 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2017 წელს ერთჯერედად დამუშავდა 3580 ჰა, 2018 წელს 3880 ჰა მრავალწლიანი ნარგავები და 1050 ჰა ერთწლიანი კულტურები დამუშავდა დეპარტამენტისთვის გადმოცემული 2720 ლიტრი ქიმიური პრეპარატით, ხოლო 3150 ჰა მრავალწლიანი ნარგავები და 3750 ერთწლიანი კულტურების ფართობები დამუშავებულ იქნა აფხაზური დე-ფაქტო ადმინისტრაციისათვის გადაცემული 17280 ლიტრი პრეპარატით. 2019 წელს უშუალოდ დეპარტამენტის სპეციალისტების ორგანიზებით დამუშავებული ფართობების რაოდენობამ შეადგინა 18 321 ჰექტარი.

დეპარტამენტის სპეციალისტები სხვადასხვა პერიოდში მივლინებულ იყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შეხვედრები ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელსაც გაეწია კონსულტაციები აზიური ფაროსანასა და სხვა მავნებლებთან და დაავადებებთან წინააღმდეგ ბრძოლის მექანიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით. ამასთანავე შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი

ჩატარდა 9 სოფელში, მექანიკურად დამუშავებული ფართობების ოდენობამ კი შეადგინა 1920 ჰა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის N588 განკარგულების ,,ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე აზიური ფასროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების უზრუნველუოფის მიზნით“ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ” (ACF) მეშვეობით გადაეცა 182 ერთეული შემასხურებელი ზურგსაკიდი აპარატი ,,SOLO PORT – 423“. 2018 წელს გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქიმიური ღონისძიებების სრულყოფის მიზნით სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ აფხაზეთის ა/რ მთავრობას გადაეცა 20 ერთეული ,,SOLO PORT – 423“. აღნიშნული აპარატების დამატება განპირობებული იყო 2017 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისათვის გადაცემული აპარატების თითქმის ნახევარის ადგილმდებარეობისა და კუთვნილების გაურკვევლობით, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა ამ პროგრამის განხორციელებას. 2020 წელს „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ“ ქიმიური ღონისძიებების ეფექტურად ჩატარების უზრუნველსაყოფად ჩვენი სპეციალისტების მიერ ოკუპირებულ გალის რაიონის ტერიტორიაზე დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია შემასხურებელი აპარატების „SOLO-423“ რაოდენობა და მათი ტექნიკური გამართულობის შესახებ. დადგინდა, რომ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გალის რაიონში შემასხურებელი აპარატების ოდენობამ შეადგინა 101 ერთეული, მ.შ. ტექნიკურად გამართული იყო 95. აპარატების ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტრენინგი ჩაუტარდა 364 პირს.

დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება ,,საშიში ინფექციური დაავადებების იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების პროგრამის“ განხორციელება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. საანგარიშო პერიოდში ვეტსპეციალისტების რეკომენდაციით სხვადასხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო გეგმიური და არაგეგმიური საპროფილატიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, მათთვის შეძენილ და გადაცემულ იქნა თანამედროვე ვეტპრეპარატები და შესაბამისი ინვენტარი. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე 2020 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტის გაორმაგების შესახებ (30000-დან 65000 ლარამდე).

დეპარტამენტის ვეტსპეციალისტებმა საანგარიშო პერიოდში შეასრულეს გეგმიური და არაგეგმიური საპროფილაქტიკო-სამკურნალო სამუშაოები შემდეგ დაავადებებზე:

*<u>საპროფილაქტიკო სამუშაოები</u>*

- ინვაზიურ დაავადებებზე (შიდა პარაზიტები) - **ფასციოლიოზი, დიქტიოკაულიოზი, ფისტომატოზი, ასკარიტოზი და სხვა;**
- გეგმიური იმუნიზაცია შემდეგ დაავადებებზე - **ემკარი, ჰემოგრაფიული სეპტოცემიოზი, პიროპლაზმოზი, ღორის კლასიკური ჭირი, წითელი ქარი, ფრინველთა ჭირი.**
- გარე პარაზიტები - **კანის ბარა, მკრეჭავი მუნი, დერმატიტები, ფუტკრის ვაროატოზი**;

ასევე შესრულდა სხვადასხვა სახის ქირურგიული სამუშაოები. კერძოდ,

*<u>სამკურნალო სამუშაოები შესრულდა შემდეგ დაავადებებზე:</u>*

**მასტიტები, ენდომეტრიტები, კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებები, კომპლექსური მკურნალობები სხვადასხვა დაავადებებზე.**

2019 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით აფხაზეთის მთავრობის პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეძენილი მედიკამენტებით მომსახურება გაეწია:

- 38 000-მდე მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს;
- 2100-ზე მეტ ფუტკრის ოჯახს;
- 300 სულამდე ღორს;
- 2000-მდე ფრთა ფრინველს.

გარდა ამისა, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ აფხაზეთის რეგიონული სამმართველოს მიერ გადაცემული ვაქცინებით (ღირებულება - 15.93 ათასი ლარი), დეპარტამენტის ვეტსპეციალისტების მიერ იმუნიზაცია ჩაუტარდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს:

- თურქულზე - 7000-მდე სულს;
- ჯილეხზე - 2000-მდე სულს;
- ნოდურალურ დერმატიტზე - 2700-ზე მეტს;

  გარდა ამისა, ცოფზე - 9000-მდე ძაღლსა და კატას.

ასევე, არაგეგმიური-იძულებითი იმუნიზაცია ჩატარდა ოკუპირებული გალის რაიონის შემდეგ სოფლებში: გაგიდა, ფიჩორი, რეფი, მახუნჯიასა და მზიურში, ასევე ქალაქ გალში. აღსანიშნავია, რომ ზოგადად იმუნაზაციის ღონისძიებას ახლავს მთელი რიგი ორგანიზაციული სირთულეები, კერძოდ: მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ადრე თავს იკავებდა იმუნიზაციის ჩატარებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ აცრილი შინაური ცხოველიდან მიღებული ხორცისა და რძის პროდუქტები მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე ექვემდებარება დაყოვნების პერიოდს (ხორცი 2 კვირა, რძე 3-5 დღე); ასევე, მნიშვნელოვნად მცირდება აცრილი პირუტყვის პროდუქტიულობა - ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩვენი სპეციალისტების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ღონისძიებების ჩატარების შედეგად მოხდა მათი გათვითცნობიერება ზოონოზური და სხვა საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავცელების შედეგების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლებში დაფიქსირდა ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული საქონლის სულადობის საგრძნობლად შემცირება, რაც აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან ,,აზიური ფაროსანას“ გავრცელების შედეგად თხილისა და სიმინდის მოსავლიანობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემცირდა დაახლოებით 70-80%-ით და შესაბამისად, მოსახლეობა ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად იძულებული გახდა მოეხდინა შინაურ ცხოველთა დაკვლა-რეალიზაცია. თუმცა, 2019 წლისათვის გატარებული ღონისძიებების შედეგად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ დაიწყო დინამიური ზრდა და თითქმის მიაღწია 2016 წლის მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა N7).

**დიაგრამა N 7.** მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის დინამიკა 2016-2019 წ.წ.




აღნიშნული შედეგი მიღწეულ იქნა ჩვენი სპეციალისტების მიერ დროულად და ეფექტიანად ჩატარებული სამუშაოებით ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე როგორც ვეტერინარიის, ასევე მცენარეთა დაცვის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად გალის რაიონი წარმოადგენს ერთ-ერთ უსაფრთხო და კეთილსაიმედო ტერიტორიას ცხოველთა ინფექციურ დაავადებათა მინიმიზაციის მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ბუნებრივია, რომ გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავს ამ პროგრამის განხორციელების მიმართ, რომელმაც ხელი შეუწყო:

- მცირე და საოჯახო მეურნეობებში მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მეფუტკრეობის მიმართულებების განვითარებას;
- მოსახლეობის მიერ მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის ჯანსაღი და უვნებელი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდას;
- ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ ცხოველთა, ფრინველთა და ფუტკართა ზოონოზური და ეპიზოოტური დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვს ვეტერინარული სერვისების მიწოდების გაგრძელებას და მისი არეალის გაფართოებას. ამას ადასტურებს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ხელმძღვანელობის 2019 წლის 5 დეკემბრის N09/10155 აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სახელზე გამოგზავნილი წერილი. ყოველივე ზემოაღნიშნული მიღწეულია დეპარტამენტის მჭიდრო თანამშრომლობით სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან“ როგორც მცენარეთა დაცვის, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ვეტერინარული სერვისების მიწოდების კუთხითაც.

რეორგანიზაციის შედეგად ახლად შექმნილმა საქვეუწყებო დაწესებულება აგრარულ საკითხთა დეპარტამენტმა მოკლე დროში მოახერხა რიგი აქტივობების განხორციელება და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი დეპარტამენტის სპეციალისტები, კერძოდ:

- 2019 წლის 11 თებერვალს ქ. ზუგდიდში საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ *კონფერენციაში თემაზე „აზიური ფაროსანას გავრცელება და მისი პოპულაციის სწრაფი ზრდა“;*

- აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში გაიმართა ღონისძიება „მე ვარ აფხაზეთი“, სადაც გაიმართა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მეწარმეების პროდუქციის პრეზენტაცია;
- აზიის, ამერიკის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ფიტოსანიტარიის სპეციალისტების მონაწილეობით 2019 წლის 11-15 მარტს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ორგანიზებით ჩატარდა *კონფერენცია თემაზე „აზიური ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდებზე და ფიტოსანიტარული რეგულაციები“*;
- 24 ნოემბერს ქ. ზუგდიდში *კოლხური ღვინის ფესტივალში "დია",* სადაც დეპარტამენტის ხელშეწყობით, წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მეწარმეების პროდუქცია;
- *„უვნებელი და ხარისხიანი თაფლის წარმოების ეროვნული სახელმძღვანელოს“ პრეზენტაცია,* რომელიც გაიმართა ნოემბრის პირველ ნახევარში „ექსპო ჯორჯიაში“;
- *„დევნილი მეფუტკრეების მიღწევები და მათ წინაშე არსებული პრობლემები“.* ღონისძიება გაიმართა დეპარტამენტის ორგანიზებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ვახტანგისში დევნილთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ,,კოდორი 2015“ სტაციონალურ საფუტკრეში.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებისა და დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გასაცნობად, კერძოდ:

- 2019 წლის აპრილში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის „ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების“ ფარგლებში, დეპარტამენტის ვეტსპეციალისტებმა გაიარეს პრაქტიკული და თეორიული ხასიათის ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისათვის სამკურნალო პრეპარატების, ვაქცინების, საკვების და საკვებდანამატების, ცხოველთა მოვლის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებით შპს „როქის“ ქარხანაში;
- 29-31 ოქტომბერს ჩატარებულ ტრენინგში თემაზე „კოოპერატივების განვითარება საქართველოში“, რომელიც ჩაატარა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განვითარების ცენტრმა“, მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის ორმა სპეციალისტმა;
- 4-5 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაციის PIN (People in Need) მიერ ჩატარებულ ტრენინგში თემაზე „პროექტების დიზაინი და დონორებთან ურთიერთობა“;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ ტრენინგებში (25 ნოემბერი - 2 დეკემბერი) თემაზე „ბიზნეს-პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები“;
- 16 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო ცენტრის“ ორგანიზებულ სასწავლო კურსში თემაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგება“;
- 2019 წლის 2 დეკემბრიდან 13 დეკმებრის ჩათვლით სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ორგანიზებულ ტრენინგებში თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი;
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით 6 თვიანი სასწავლო კურსი გაიარა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 4-მა ახლაგაზრდამ, რომელთაც მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები ვეტერინარული

სერვისების მიწოდების მხრივ. ეს გარემოება გაცილებით მეტ საშუალებას იძლევა გავაფართოვოთ ჩვენი საქმიანობის არეალი ვეტერინარიის კუთხით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნული პროგრამებისა, გასული წლის მე-4 კვარტალში განხორციელდა „მდ. ენგურის ე.წ. გამყოფი ხაზის ორივე მხარეზე მცხოვრებ ფერმერთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში გაშენდა 2 ჰა-ზე თხილის მაღალმოსავლიანი ნერგებით სადემონსტრაციო ნაკვეთები, მ.შ. 1 ჰა - გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (3 ბენეფიციარი) და 1 ჰა - ე.წ. ,,გამყოფი ხაზის“ მიმდებარედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში (3 ბენეფიციარი). შერჩეულ ბენეფიციარებს ჩაუტარდათ 2-დღიანი ტრენინგი საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციაში, ასევე საველე პირობებში - შპს „აგრიჯორჯია“-ს პლანტაციებში მათი ექსპერტების მიერ თხილის ნარგავების მოვლისა და სხვა სახის ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების შესახებ.

ამისათვის სათანადო ხელშეკრულება გაფორმდა შპს „აგრიჯორჯია“-სთან, რომლისგანაც შეძენილ იქნა 1000 ძირი „ჯიფონისა“ და „რომანა“ ჯიშის ნერგები. აღნიშნული ნერგები გადაეცათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და სოფ. რუხში შერჩეულ ბენეფიციარებს. 2019 წლის 20 დეკემბრისათვის თხილის ნერგების დარგვის პროცესი დასრულდა. ამ პროგრამის სრულყოფილად უზრუნველსაყოფად 2020 წლიდან ბენეფიციარების მიერ აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას მონიტორინგს გაუწევენ დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის სპეციალისტები აგრძელებდნენ აქტივობებს მეფუტკრეობის სექტორში დასაქმებულ დევნილთა მხარდასაჭერად. ამ მიმართულებით განხორციელდა მეფუტკტეობაში ჩართულ დევნილთა საინფორმაციო ბაზის დაზუსტება ქვეყნის რამდენიმე რეგიონში (გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი), რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად დავგეგმოთ მათი პროფესიული უნარჩვევებისა და მატერიალურ-ტექნიკური გაძლიერების ღონისძიებები.

აფხაზეთში განვითარებული მოვლენების დროს პრაქტიკულად განადგურდა აგრარული მიმართულებით არსებული მთელი რიგი საინფორმაციო მონაცემები, მ.შ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგების ამსახველი ფიზიკო-ბიოლუგიურ-ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებელი მასალები. დეპარტამენტის მიერ 2019 წელს დაიწყო სხვადასხვა საარქივო მასალების მოძიება და სისტემატიზაცია, რათა 2020 წელს შეიქმნას სრულყოფილი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა, რომელშიც ასახული იქნება ზემოაღნიშნული მასალები ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მიხედვით, გამოიცემა სამენოვანი (ქართული, აფხაზური, ინგლისური) ბეჭდვური მასალა (ატლასი).

## *3.2 საქვეუწყებო დაწესებულება-ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებული იგპ-ების საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
- საჭირო სარემონტო სამუშაოების მოცულობის დადგენა და შესაბამისი დეფექტური აქტების, ტექნიკური დოკუმენტაციების შედგენა;
- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების, აგრეთვე დარგობრივი საკითხების განვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

2019 წელს შემუშავდა და წარმოდგენილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იგპ-თა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულებები. დადგინდა გადაუდებელი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საჭიროების მქონე შენობები.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სულ 1 083.09 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დოკუმენტაციის ღირებულება გაზრდილია 200.9 ათასი ლარით ანუ 22,8 %-ით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საპროექტო სამუშაოები, შედგა დეფექტური აქტები და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ.N 42-ში მდებარე აფხაზეთის ა/რ მთავრობის შენობის მე-5 სართული, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 125.00 ათასი ლარი;
- ქ. თბილისში, მეველის ქ. N 19-ში მდებარე სამსართულიანი სამედიცინო დაწესებულებისთვის მომზადდა საპროექტო ნახაზები და საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა;
- ქ. ზუგდიდში, შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით შესწავლილ იქნა დევნილების კოლექტიური ჩასახლების 11 ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა, რომელთაგან პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ 3 ობიექტს:
  - ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის N222-ში მდებარე 3-სართულიანი პროფ. სასწავლებელი, სადაც გასარემონტებელია თუნუქის სახურავი წყალსაწრეტი მილებითა და ძაბრებით - 1300 კვ.მ. ხარჯთაღრიცხვა - 16.84 ათასი ლარი;
  - ქ. ზუგდიდის რაიონი, სოფ. ჭითაწყარი, ელექტროქსელის ორსართულიანი შენობის სახურავის დემონტაჟი და ახალი სახურავის მოწყობა - 290 კვ. მ. ხარჯთაღრიცხვა - 19.240 ათასი ლარი;
  - ქ. ზუგდიდი, სოფ ჭითაწყარი, ხუბულავას ქ.14 მდებარე ვეტ.ლაბორატორიის ერთსართულიანი შენობა, სადაც შესაცვლელია სახურავი 400 კვ.მ. და დასამონტაჟებელია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები 47 კვ.მ. ხარჯთაღრიცხვა - 32.39 ათასი ლარი.

*სამივე ობიექტის ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის ჯამურმა თანხამ შეადგინა 68.47 ათასი ლარი.*

- ქ. თელავი, გვარდიის დასახლება, სოხუმის ქ. 4-ში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კორპუსში გაკეთდა სახურავის მოწყობა 2 ფენა ლინოკრომითა და პარაპეტის

დაფარვა მოთუთიებული თუნუქით 873 კვ.მ.-ზე. სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 35.47 ათასი ლარი;

- ქ. თბილისი, ქერჩის ქ.6-ში აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური ჩასახლება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუბეროიდით გადახურული არსებული სახურავის 380 კვ.მ.-ის რემონტი შეერთების ადგილებში და 6,45კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯრების გამოცვლა, რომლის სრულმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 4.85 ათასი ლარი;
- ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ.40-ში „ირმის ნახტომის“ ამხანაგობა. ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 2.68 ათასი ლარი;
- ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ., კორპუსში 34, ამხანაგობა „იმედის“ შენობის გამაგრების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 18.42 ათასი ლარი;
- ქ. ხაშური, ყოფილი 64-ე პროფსასწავლებელი, დევნილთა საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ობიექტის ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 19.72 ათასი ლარი.

2019 წლის ივნისში დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ იმერეთის რეგიონში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ქ. ქუთაისში, ხონში და ქობულეთში დევნილთა ჩასახლების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით. შემოწმდა 10 ობიექტი;

ხარჯთაღრიცხვები შედგენილია შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. ქობულეთი, 9 აპრილის ქუჩა 109 (ყოფილი მე-7 სკოლა) - ხარჯთაღრიცხვა 5.81 ათასი ლარი;
- ქ. ქობულეთი, დ. ჩაქვი (ყოფილი სკოლის შენობა), კორპუსი 1 - ხარჯთაღრიცხვა 15. 99 ათასი ლარი;
- ხონი, სამხედრო დასახლება, კორპუსი 7 - ხარჯთაღრიცხვა 18.79 ათასი ლარი;
- ქ. ქუთაისი, ნიკიას ქ. 21, ყოფილი აისი -1 ის შენობა- ხარჯთაღრიცხვა 7.33 ათასი ლარი.
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოეწერში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილთა კოლექტიურ ცენტრში:
  - სახურავის მოწყობა - 26.43 ათასი ლარი.
  - წყლის საქაჩი ტუმბოს რემონტი - 6.95 ათასი ლარი.
  - წყლის საზაფხულო ავზი - 7.26 ათასი ლარი.
  - საზაფხულო შხაპის მოწყობა - 2.50 ათასი ლარი.
  - ლითონის ღობის მოწყობა - 7.78 ათასი ლარი.
  - ტერიტორიისა და ხეივნის გამწვანება - 8.12 ათასი ლარი.
- დასავლეთ საქართველოში დაფნის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმოს 3 ვარიანტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 558.77 ათასი ლარი, მათ შორის:
  - დახარისხება და დაყალიბება ხელით, დანადგარების გარეშე, პროექტის ხარჯთაღრიცხვა - 140.15 ათასი ლარი;
  - დამხარისხებელი და დამყალიბებელი დანადგარების მონტაჟი, პროექტის ხარჯთაღრიცხვა - 305.86 ათასი ლარი;
  - ზუგდიდის რაიონი, სოფ. ოქტომბერი - ი/მ „გიორგი რაფავა“ (85.15 ათასი ლარი, დამქუცმაცებელი დანადგარი (8.61 ათასი ლარი), ელ.ენერგიის შემოყვანა (4.00 ათასი ლარი), სატვირთო ა/მ (15.00 ათასი ლარი). ჯამში სულ 112.76 ათასი ლარი);
- ხილისა და ბოსტნეულის საშრობი საამქროს პროექტის 2 ვარიანტი:

- კარკასის მოწყობა სენდვიჩ-პანელებით - სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 34.37 ათასი ლარი;
- კარკასის მოწყობა, მონოლითური რკ/ბეტონით და შევსება წვრილი საკედლე ბლოკებით-25.09 ათასი ლარი.

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობის სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 65.80 ათასი ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებული კორპუსების (ქ. თბილისში 13 ობიექტი) მცირე სარემონტო სამუშაოები სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 10.40 ათასი ლარი;
- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მე-3 სართულის ოთახების რემონტი, ხარჯთაღრიცხვა - 7.14 ათასი ლარი.

ასევე, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ობიექტების საინჟინრო-სარეაბილიტაციო საქმიანობის მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 22 ობიექტი, სადაც გაკეთდა შენიშვნები ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

გარდა ამისა, აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროსთან ერთობლივად შედგენილ იქნა 2020 წლისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების გეგმა რაიონების მიხედვით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში 10 000 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები.

### *3.3 სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგების ანალიზი;
- სოხუმის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების მტკნარი თერმული და მინერალური წყლების ელექტრონული გეოინფორმაციული პაკეტების შექმნა;
- დაბა წყნეთში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების მონიტორინგი და პრევენცია.

დღეის მდგომარეობით აფხაზეთის ტერიტორიის ეკოსისტემა მძიმე მდგომარეობაშია. ეს ეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლის აფხაზეთის მონაკვეთის ლითოდინამიკურ არასტაბილურ მდგომარეობას და მისი მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიას.

1990 წლის მერე შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო ზოლის აღნიშნულ სენსიტიურ უბნებზე პრევენციული ღონისძიებები არ განხორციელებულა. სააგენტოს სპეციალისტები 2008 წლიდან ახორციელებენ დისტანციურ მონიტორინგს აფხაზეთის სანაპირო ზოლის გასწვრივ. მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა უბნები, სადაც დარღვეულია სანაპირო ხაზის ლითოდინამიკური წონასწორობა. გამოთვლებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში სენსიტიურ უბნებში სანაპირო ხაზის ხმელეთისკენ გადაადგილების სიჩქარე იყო 0,45 მ. წელიწადში, დღეს ის შეადგენს 1,5 მ-ს. 1982 წლიდან 1990 წლამდე ზღვის მიერ ნაპირის მიტაცების პროცესის შესაჩერებლად სენსიტიურ დინამიკურ რაიონებში, მდინარეული მყარი ნატანის ნაპირგასწვრივ ნაკადებში დეფიციტის შევსების მიზნით, ჭარბი აკუმულაციის ზონიდან ხელოვნურად შეჰქონდათ ნაშალი მასალა პლაჟებზე სანაპირო

ზოლის მორფოლოგიური პროფილის შესანარჩუნებლად. მაგალითად, აღნიშნულ წლებში 49 კმ სანაპირო ზოლის შესანარჩუნებლად შეტანილ იქნა ჯამში 9,7 მლნ. მ$^3$ ინერტული მასალა (იხ. ცხრილი N10).

**ცხრილი N 10** სანაპირო ზოლის შენარჩუნების მიზნით შეტანილი ინერტული მასალა

| **დინამიკური რაიონი** | **მანძილი კმ** | **მოცულობა მილიონი მ$^3$** |
|---|---|---|
| ჩრდილოეთი რაიონი | 25 | 5,5 |
| გუმისთა-კელასური | 15 | 2,6 |
| კოდორი | 9 | 1,6 |

აფხაზეთის ტერიტორიაზე, სანაპირო ხაზიდან 4-7კმ-ის დაშორებით მდებარე კარიერებიდან უკანონოდ მიმდინარეობს დიდი რაოდენობით ინერტული მასალის მოპოვება (წელიწადში დაახლოებით 2 მლნ. მ$^3$), რაც გეოლოგიური თვალსაზრისით უარყოფით ზემოქმედებას ახდენს სანაპირო ზოლის ლითოდინამიკურ წონასწორობაზე.

სააგენტოს სპეციალისტებმა დისტანციური მეთოდით ზუსტად განსაზღვრეს აბრაზიული (მორეცხილი) და აკუმულაციური (დაგროვების) უბნები, რაც აუცილებელია შემდგომში პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად. კერძოდ: ბიჭვინთის კონცხის, გუდაუთის და სოხუმის კონცხის აღმოსავლეთი სანაპიროები, მდ. კელასურის შესართავიდან დასავლეთი სანაპირო და კოდორის შესართავიდან ქ. ოჩამჩირემდე უბანი. ჯამურად აღსადგენმა ფართობმა, სადაც უნდა მოხდეს ხელოვნურად მასალის ჩაყრა, შეადგინა (იხ. ცხრილი N11).

**ცხრილი N 11** აღსადგენი ფართობი

| **დინამიკური რაიონი** | **აბრაზიული ფართი მ$^2$** |
|---|---|
| ბზიფის სანაპირო ზოლი | 242 801 |
| გუმისთის სანაპირო | 208 420 |
| კელასურის სანაპირო | 384 500 |
| კოდორის სანაპირო | 169 200 |
| **სულ** | **1 004 921** |

სანაპირო პროცესების მართვის მიზანს წარმოადგენს სანაპირო ზონის მორფოდინამიკური წონასწორობის რეანიმაციის შესაძლებლობა. ყოველი ლითოდინამიკური (სანაპირო ზონის დიდი უბანი, სხვა ანალოგიური უბნებისგან დამოუკიდებელი თავის რეჟიმითა და ნატანით) რაიონის ფარგლებში დასმული ამოცანის გადაწყვეტა ითვალისწინებს პლაჟამგები ნაშალი მასალის ბიუჯეტის ბალანსირების მიღწევას და მის შემდგომ შენარჩუნებას. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას ისტორიულ წარსულში ფორმირებული სანაპირო ზონის რეტროსპექტული (ადრე არსებული) სიტუაციის აღდგენით და მისი რეგენერაციის მიზნით მასთან მიახლოებული პირობების შექმნით.

სააგენტოს ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო სუბიექტები მოიზიდონ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავებაში. საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით უნდა მოხდეს აფხაზური და ქართული საზოგადოების აქტიური ჩართვა ამ პრობლემური საკითხების ერთობლივად გადაჭრის საქმეში. უნდა გაძლიერდეს მონიტორინგი სანაპიროზე მიმდინარე მორფოლოგიურ პროცესებზე ყველა არსებული თანამედროვე მეთოდით როგორც ადგილზე, ასევე დისტანციურად.

აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია მოეწყოს კონფერენცია აფხაზეთში არსებულ პრობლემებზე მომუშავე ეკოლოგებთან ერთად.

2010 წლიდან აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა 4 კონფერენცია, მათ შორის ერთი საერთაშორისო. აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ კონფერენციაზე გაჟღერებული პრობლემები გარკვეულწილად იქნა გაზიარებული და გარკვეული პერიოდი გუმისთის და კელასურის ხეობებიდან ინერტული მასალის მოპოვება აიკრძალა. შემდგომში ყირიმის სარკინიგზო და საავტომობილო ხიდის სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის მიზნით (ხელშეკრულება 2017-2020 წ.წ.), ისევ სრული მასშტაბით ამუშავდა ინერტული მასალის კრასნოდარის მხარეში დარეგისტრირებული სამთო-მოპოვებითი საწარმოები. აქტიური მოპოვებითი სამუშაოები მიმდინარეობდა 2019 წელსაც.

გარდა ამისა, სააგენტო აწარმოებდა მონიტორინგს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მინერალურ-რესურსული ბაზის მდგომარეობის შესახებ. დისტანციური მეთოდით, თანამედროვე ახალი ორთოფოტოების გამოყენებით შესაძლებელია წიაღისეულის სამთო-მოპოვებითი სამუშაოების მიმდინარეობის განსაზღვრა და ზუსტი ფართობების შემოხაზვა. იმის დასადგენად, თუ რა საბადოები მუშავდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, სააგენტოს უნდა ჰქონდეს აფხაზეთში არსებული ყველა საბადოს მოკლე გეოსაინფორმაციო პაკეტი, სადაც მითითებულია მისი ადგილმდებარეობა (კოორდინატები), მარაგები და მადნის ხარისხობრივი მაჩვენებლები, შესაბამისი გრაფიკული დანართებით (ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის მინერალურ-რესურსული ბაზის მოკლე გეოსაინფორმაციო პაკეტი). ამ მეთოდით სააგენტოს მიერ დადგენდა წლების მიხედვით აფხაზეთის ინერტული მასალების საბადოებიდან მოპოვებული რესურსების რაოდენობა, მათი დასაწყობების ადგილები და სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც ნედლეული გააქვთ ქვეყნიდან.

ამ საკითხთან დაკავშირებით სააგენტო მუშაობდა აფხაზეთში 1992 წლამდე მოძიებული საბადოებისა და გამოვლენებების (პროგნოზული მარაგი) ანგარიშების დამუშავებაზე, რომელიც დაცულია საქართველოს წიაღის ეროვნული სააგენტოს გეოლოგიურ ფონდებში. ამ მასალებზე დაყრდნობით მიმდინარეობდა მუშაობა აფხაზეთის გეოლოგიური/ჰიდროგეოლოგიური მასალების მოძიება-დამუშავება სისტემატიზაციისა და ანალიზისთვის, შემდგომში გეოინფორმაციული პაკეტის შესაქმნელად.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სოხუმის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების მტკნარი, თერმულ და მინერალურ წყლებზე ინფორმაცია ტექსტური და გრაფიკული მასალის სახით. სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა მონაცემების მოპოვება-შენახვა გრაფიკული ვიზუალიზაციისთვის, მართვისა და ანალიზისთვის, სხვადასხვა ამოცანების სამეცნიერო და გამოყენებითი, მათ შორის საინფორმაციო ან სტატისტიკური რესურსების ინვენტარიზაცია, ანალიზი, შეფასება, მონიტორინგი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სააგენტომ შეასრულა შემდეგი სახის სამუშაოები:

- მდ. ვერეს ხეობაში სტიქიური მოვლენების შედეგად ძლიერ დაზიანდა დაბა წყნეთში ჩასახლებული დევნილთა საცხოვრებელი გარემო (სახლები, მიმდებარე ტერიტორია, სასაფლაო). დაბა წყნეთში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლების ადგილებში და მიმდებარედ სოფ. ახალდაბის გზის პირას სახელმწიფოს მიერ სასაფლაოსთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ჩატარდა განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესების ვიზუალური შეფასება, რაზედაც მომზადდა შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა და პრევენციული ღონისძიებების გეგმა;
- საკუთარი შემოსავლების მიღების მიზნით, კერძო პირთან გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თბილისი - საკადასტრო კოდი 01.72.14.031./518 ფართობი 500 $მ^2$ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადების მიზნით.

აფხაზეთიდან დევნილები საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან ჩასახლებულები. გარემო, რომელშიც ისინი იძულებით აღმოჩნდენ მათთვის უჩვეულოა და საჭიროებს შეგუებას. შეიქმნა საპილოტე პროგრამა, რომლის მიზანია შეფასდეს კომპაქტურად ჩასახლების ადგილები ეკოლოგიური და გეოეკოლოგიური თვალსაზრისით, საცხოვრებელი სახლების მდგრადობა და კომუნიკაციები. კერძოდ:

- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებაში „ვაზიანი“ არსებული კორპუსების მიმდებარედ გამწვანება-განაშენიანების მიზნით გაკეთდა გარემოსდაცვითი და საინჟინრო-გეოლოგიური ვიზუალური შეფასება;
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში (ქ. თბილისი დეპოს ადმინისტრაციული კორპუსი) გაკეთდა პირველადი გეოლოგიური შეფასება და მომზადდა რეკომენდაცია (სანიაღვრე კოლექტორის და სადრენაჟო სისტემის არარსებობის გამო დარღვეულია შენობის მდგრადობა. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დამჯდარია, რაც გამოვლინდა მეორე ფლიგელის კედლებზე გაჩენილი დიაგონალური და ვერტიკალური ნაპრალების სახით. აუცილებელია ეზოში განთავსდეს სანიაღვრე კოლექტორი. შენობის გასწვრივ უნდა დამონტაჟდეს სადრენაჟო სისტემა, მოსაწესრიგებელია კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის შიდა ქსელი);
- აფხაზეთიდან იგპ-თა ჩასახლების ობიექტში, ქ. რუსთავში ,,ბოსტანქალაქის“ ქ. გაკეთდა პირველადი გეოლოგიური შეფასება და მომზადდა რეკომენდაცია (სარდაფში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მილების ჰერმეტულობა დარღვეულია, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შენობის მდგრადობის რღვევა. სასწრაფოდ უნდა გარემონტდეს სახურავის წყალამრიდი ჟოლობები და მორღვეული სახურავის კუთხე, რომელიც ჩამოვარდნის ზღვარზეა. აუცილებელია თანამედროვე ლამაზი სკვერისა და ბავშვებისთვის სათამაშო მოედანის მოწყობა. როგორც აღინიშნა, შენობის და მიმდებარე ტერიტორიის საკადასტრო მონაცემები უძრავი ქონების რეესტრში არ იძებნება. მოსაწესრიგებელია კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის შიდა ქსელი).

სააგენტოში სტრუქტურული ცვლილების საფუძველზე დაემატა ფუნქცია-მოვალეობა გარემოს დაცვის მიმართულებით (გარემოს დაცვის სამსახური). ამ მხრივ შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- საზოგადოება ,,ბუნების კონსერვაციისთვის-საბუკოსთან“ ერთად აღინიშნა მსოფლიო ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღე ჯანდარის ტბაზე, სადაც საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომლები. პროგრამის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ეკო-კლუბების მასწავლებლებთან;
- თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის მერიის, საპატრიარქოს ფონდის ,,გაამწვანე საქართველო'' და თბილისის საკრებულოს მიერ ერთობლივად გამართულ გამწვანების აქციაში;
- ,,დედამიწის საათის" კამპანიასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, გარემოს დაცვის სამმართველოს ინიციატივით, აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის გაიმართა ლექცია თემაზე ,,დედამიწის ისტორია, პროტოპლანეტიდან ლურჯ პლანეტამდე.

## *3.4 სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა (შემდგომში – დევნილთა) ეკონომიკური ინტეგრაციისა და მათი საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა, განხორციელება და შეფასება, ასევე მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძიება და ეფექტური მართვა;
- დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის მიზნით საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათ მიერ ინიცირებულ პროექტებში თანამონაწილეობა, მათი მართვა და მიღწეული შედეგების ანალიზი;
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
- დევნილთა განსახლების ადგილებში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით გამწვანება-განაშენიანების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

2019 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების შედეგად სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო“-ს ბაზაზე შეიქმნა სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1 ნოემბრიდან.

სააგენტომ რეორგანიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნქციონალური დატვირთვა. შესაბამისად საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში საქმიანობა ხორციელდებოდა ძველი ფუნქციონალური დატვირთიდან გამომდინარე, რაც გულისხმობდა გამწვანებისა და გარემოსდაცვით საქმიანობას, ხოლო საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ახალი მიზნობრივი

პროგრამების და პროექტების შემუშავებასა და უკვე არსებულის ეფექტიანობის გაზრდაზე, კერძოდ:

- გაგრძელდა 2018 წელს შემუშავებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის *„კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებების ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობისა და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკო-ბანაკის მოწყობა-ფუნქციონირება“* იმპლემენტაცია, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან: ქ. თბილისის მერიისაგან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადმოცემულ 15 000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ქ.თბილისი, კრწანისის რაიონი) კოლხური ბზის სანერგის მოწყობა და მის ბაზაზე ეკო-საგამანთლებლო ღონისძიებების გამართვა. 2019 წელს დასრულდა პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოები. ამ ეტაპზე სანერგეში არის 2-3 წლიანი 3200 ცალი კოლხური ბზის ნერგი. ეკო-საგამანთლებლო კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 3 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ.თბილისში განთავსებული აფხაზეთის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. ღონისძიების თემა იყო - ბზის მოვლა-პატრონობა და ბზის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები. მათ ასევე, მონაწილეობა მიიღეს ბზის კალმების აღება-ჩარგვის პროცესში. სანერგის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია სრულად იქნეს გამოყენებული ტერიტორიის რეკრეაციული პოტენციალი, რისთვისაც სააგენტომ საანგარიშო პერიოდში დაიწყო საპროექტო (არქიტექტურული) დოკუმენტაციის მომზადება.
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხოეწერში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ოქტომბერში, გარდაბნის რაიონის სოფ. ვაზიანში და სხვა კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილებთან აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის შეხვედრისას გამოვლინდა არაერთი პრობლემური საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოკლე პერიოდში მომზადდა *სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“* და 2019 წლის მე-4 კვარტალში მოხდა მისი იმპლემეტაცია, კერძოდ:
    - სოფ. ფოცხოეწერში განთავსებულ კოლექტიურ ცენტრში განხორციელდა წყლის მიწოდების სისტემაში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრა, კერძოდ შეიცვალა ელექტროტუმბო ფურნიტურით;
    - უშუალოდ ჩასახლების ტერიტორიაზე კაპიტალურად შემოიღობა 400 კვ. მ ტერიტორია, სადაც იგეგმება ამორტიზირებული საცურაო აუზის რეაბილიტაცია, ამავდროულად, შეძენილ იქნა კარკასული ტიპის ახალი საცურაო აუზი. შიდა პერიმეტრისა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ მოწყობილი სკვერში დაირგო 70 ნერგი ელდარის ფიჭვი;
    - სოფ. ვაზიანში თურქეთის განვითარებისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA დაფინანსებითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით მოწყობილი პურის საცხობისა და სოციალური ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო ელდარის ფიჭვის 70 ნერგი, ხოლო საბავშვო ბაღისა და სკოლის ტერიტორიაზე - 80.
- საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე კენკროვანი კულტურის პოპულარიზაციისა და გავრცელებისთვის. ამ პროცესში აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებულ

ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის აქტიურად ჩართულობის მიზნით სააგენტოს მიერ მომზადდა *პროგრამა „მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“,* რომელიც ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვალონში იჯარით აღებულ 30 ჰა-ზე ლურჯი მოცვის სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენებას, სანერგისა და აგრომომსახურების თანამედროვე ცენტრის მოწყობას. ამ მიმართულებით, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა კენკროვანი კულტურების მსოფლიოში წამყვან კომპანიებთან - FALL CREEK FARM & NURSERY, POLSKA BOROWKA ZO.O და სხვა. პოტენციური პარტნიორების მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წელს შესწავლილ იქნა ხობის რაიონის კლიმატური პირობები (მ. შ. „გრილი საათების“ რაოდენობა), შპს „მულტიტესტის“ მიერ ჩატარდა წყლისა და ნიადაგის სრულყოფილი კვლევა, ასევე ტერიტორია ნაწილობრივ გაიწმინდა ტყე-ბუჩქნარისაგან.

- გარდაბნის რაიონის სოფ. ვაზიანში თურქეთის განვითარებისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA დაფინანსებითა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის ხელშეწყობით რეაბილიტირებულ იქნა ამორტიზირებული შენობა, სადაც მოეწყო პურის საცხობი და სოციალური ცენტრი. აღნიშნული უძრავი ქონება სააგენტოს ბალანსზე აღირიცხება და 2019 წლის ბოლოს, აუქციონის წესით, იჯარით გადაეცა გამარჯვებულ კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას, სააგენტოსთვის კი იქნება ეს - შემოსავლის დამატებითი წყარო.
- 2019 წლის ბოლოს დაიწყო სსიპ „აფხაზეთიდან იგპ-თა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრ - ბიზნეს-ინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში (ს/კ 43.09.02.399) – 185766 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის გადმოცემის ღონისძიებები. ამ მიზნით, მომზადდა შესაბამისი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.
- სოფ. ოქტომბერში კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებმა დევნილებმა მწვავედ დააყენეს დასაქმების საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის ბოლოს დაიწყო დაფნის გადამამუშავებელი მინი-საამქროს მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- სააგენტოს საქმინობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში შედგა არაერთი კომუნიკაცია USAID-ის პროექტ „ზრდა“-ს მენეჯმენტთან, ჩეხურ ორგანიზაციასთან PEOPLE IN NEED, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელთან CENN, CARE-საქართველოსთან და სხვა, რომლის მიზანი იყო სააგენტოს მიერ 2020 წლის დაგეგმილ პროგრამებში მათი შესაძლო ჩართულობა და მომავალი თანამშრომლობა.

## *3.5 სსიპ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროცესების შესახებ ტელერადიო და ელექტრონული ინფორმაციების მოპოვება, დამუშავება, შექმნა და გავრცელება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მედიის საშუალებებში;

- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის აღწერა, გადაღება და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მისი მიწოდება, მათი დაცვის მიზნით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ ტელერადიო და ელექტრონული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მედიის საშუალებებში;
- კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ტელე, ინტერნეტ, რადიოგადაცემების მომზადება და გავრცელება.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

- სსიპ ,,აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა“ 2019 წელს მოამზადა და სოციალურ ქსელში (Facebook, YouTube) განათავსა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მქონე 203 სიუჟეტი ქართულ და აფხაზურ ენებზე;
- შედგა ექსპედიცია ოკუპირებულ აფხაზეთში, რომლის დროსაც გადაღებულ იქნა დანგრეული/ დანგრევისპირას მყოფი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მიუხედავად ძალინ დიდი რისკისა სათითაოდ იქნა გადაღებული ფრესკები და ტაძრები. საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეწოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დანგრეულ და განადგურების პირას მიყვანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ;
- მომზადდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი სიუჟეტები;
- მნიშვნელოვანი სიუჟეტები ითარგმნა აფხაზურ ენაზე.
- სისტემატურად შუქდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობა, შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში;
- მომზადდა დევნილთა სოციალური მდგომარეობის, მათი პრობლემებისა და ამ პრობლემების გადასაჭრელად გატარებული ღონისძიებების ამსახველი სიუჟეტები;
- გაშუქდა აფხაზეთის სკოლების ღონისძიებები, საანგარიშო კონცერტები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, საიუბილეო თარიღები, ,,ეტალონი-2019“, საუკეთესო მოსწავლეების გამოვლენა, აფხაზური ენის სახელმძღვანელოებისა და შემსწავლელი პროგრამების პრეზენტაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობა. აგრეთვე სპორტული ღონისძიებები - ადგილობრივი შეჯიბრებები, საერთაშორისო ტურნირები სხვადასხვა სახეობებში, ცნობილი სპორტსმენების იუბილეები, აფხაზეთიდან ცნობილი სპორტსმენების სახელობის ტურნირები, ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა და მათი პოპულარიზაცია.

გრძელდებოდა მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სახალხო დიპლომატიის ფარგლებში სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზე. ცენტრის აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით ოკუპირებულ ტერიტორაზე განხორციელდა უპრეცენდენტო გამოკითხვა. გამოკითხულ იქნა 500 (ხუთასზე) მეტი ოჯახი, რომლებმაც ისაუბრეს

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი უფლებების დარღვევის სხვადასხვა საკითხებზე, აგრეთვე იმ პერსპექტივებზე, თუ როგორ მიაჩნიათ აფხაზებთან დაახლოების საკითხის მოგვარება.

### *3.6 სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები</u>*

- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, შრომისუნარიანი მოსახლეობის, უპირატესად, ახალგაზრდების დასაქმება, უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა სტაჟირება/კვალიფიკაციის ამაღლება;
- მცირე ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირების, ბიზნეს-ინკუბატორის მოდელების გამოყენების სხვა ინოვაციური პროექტების შემუშავება/განხორციელების, სამეწარმეო სუბიექტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით.

*<u>შესრულებული სამუშაო</u>*

- საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სულ დასაქმებული იყო 22 პირი, მათ შორის 9 დევნილი. ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ მოიჯარე კომპანიებში დასაქმებული იყო 120-მდე პირი, რომელთა შორის 20 პირი იყო დევნილი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში უშუალოდ სსიპ ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ დასაქმებული იყო 12 პირი, ხოლო მოიჯარე კომპანიებში - 88 (აქედან - 21 იგპ). 2019 წელს თანამშრომელთა სახელფასო ფონდმა შეადგინა სულ 141,68 ათასი ლარი;
- 2019 წლის დასაწყისში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა 4-წლიანი გრანტი პროექტის (560.00 ათასი ლარი), რომელიც ითვალისწინებდა ავტომატური მართვის მექანიზმით აღჭურვილი, ენერგოდამზოგავი და უსაფრთხო ქარძრავის შექმნას. საანგარიშო პერიოდში გრანტით დაფინასებული იყო 78.60 ათასი ლარი. 8 პირის შრომის ანაზღაურება ხორციელდებოდა 4 წლიანი საგრანტო ფარგლებში;
- მოწესრიგდა იჯარით გასაცემი ფართები (7 556 კვ.მ) და მიწა, მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და ჩატარდა აუქციონი არასაცხოვრებელ ფართებზე. 12 მეწარმესთან, 2 936 კვ.მ ფართზე (მ.შ. 685კვ.მ მიწაზე) გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულებები. ასევე აუქციონის წესით იჯარით გაიცა ადრე 2 ფერმერის მიერ იჯარით აღებულ და, შემდგომში უკან დაბრუნებულ სასათბურე კონსტრუქციებზე (960 კვ.მ 4 ერთეული სასათბურე კონსტრუქცია, რომლის წლიური გადასახადი 192 ლარს შეადგენს);
- საანგარიშო პერიოდში სტაჟირება გაიარა დაახლოებით 35-მა პირმა. მათთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა სხვადასხვა კომპანიებში. ფონდების მოძიების მიმართულებით ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სტაჟირება გაიარა 6 პირმა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ,,მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“ და ,,აფხაზინტერკონტის“ ხელშეწყობით, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ჩეხურ კომპანიასთან ,,ჩეხენერჯი თიმ“, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციების მოზიდვას

ალტერნატიული ენერგიის სისტემების დანერგვისათვის. შეთანხმების თანახმად, უახლოესი 3-4 თვის განმავლობაში ქუთაისში მოქმედ „ბიზნეს-ინკუბატორში“ უნდა ამოქმედდეს მზის ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე იქნება არანაკლებ 0,350 მგვტ/სთ;

- პერიოდულად ხორციელდებოდა დევნილთა დასაქმების მიზნით გადაცემული სასათბურე კონსტრუქციების მონიტორინგი. დადგინდა, რომ სამეგრელოში 38 მოიჯარის სარგებლობაში არსებული 65 სათბურიდან მხოლოდ 10 სათბური იყო ნაწილობრივ მოქმედი, აღმოსავლეთ საქართველოში 20 მოიჯარის სარგებლობაში არსებული 21 სათბურიდან მხოლოდ 6 იყო გამართულ მდგომარეობაში. დანარჩენი სათბურები (ზოგი მთლიანად და ზოგი ნაწილობრივ) იყო დაზიანებული. მეიჯარეები უმოქმედო სათბურებიდან ვერ იღებენ შემოსავალს, შედეგად, ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ იჯარიდან შემოსული თანხა დაგეგმილზე მცირეა.

2019 წელს სახელმწიფო ქონების იჯარით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 72.8 ათასი ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელთან (68.3 ათასი ლარი) შედარებით 4.5 ათასი ლარით, 6,6%-ით მეტია. გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულმა თანხამ ჯამურად შეადგინა 28.66 ათასი ლარი (ქონების გადასახადი 8.96 ათასი ლარი, საშემოსავლო გადასახადი 19.7 ათასი ლარი), რაც 40% -ით, 11.43 ათასი ლარით  აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (17.23 ათასი ლარი).

### *3.7 სსიპ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა*

*<u>საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:</u>*

- მეწარმე სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერით ბიზნესის განვითარება და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- ბიზნეს პარტნიორების მოძიება;
- საერთაშორისო დონეზე არაღიარების პოლიტიკის გაძლიერება და მხარდაჭერა.

*<u>შესრულებული სამუშაო:</u>*

*<u>გამოფენა-გაყიდვები</u>*

- თბილისში, რიყის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა უკვე ტრადიციად ქცეული გამოფენა-გაყიდვა ,,აფხაზეთი 2019“, სადაც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა მეწარმეებმა;
- ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, პალატისა და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებითა და ჩართულობით აფხაზეთიდან დევნილმა მეწარმეებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ მცხეთაში "მცხეთობა-სვეტიცხოვლობის" დღესასწაულის ფარგლებში გამართულ გამოფენა-გაყიდვაში;
- პალატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმში ჩატარებულ თაფლის ფესტივალზე, რომელიც ორგანიზებული იყო აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაციის მიერ;

- სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით ზუგდიდში კოლხური ღვინის ფესტივალი "დია" გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო აფხაზეთის კუთხე, სადაც პალატის ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების და ფერმერების პროდუქცია გამოიფინა. გაიმართა აფხაზური ღვინისა და სამზარეულოს პრეზენტაცია და დეგუსტაცია, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ხელნაკეთი ნივთები.
- ყვარელში, პალატის წევრმა კომპანიამ „მეღვინეობა ხარებამ" ღვინის გვირაბის ტერიტორიაზე გამართა აგრო-ტექნიკის მწარმოებელი გერმანული ბრენდის, FENDT-ის წარდგენის ღონისძიება, რომელიც საქართველოში „მეღვინეობა ხარებას" ინიციატივით შემოდის.
- საგამოფენო კომპლექს Expo Georgia-ში, ჩატარდა ბელორუსული პროდუქციის გამოფენა ,,Made in Belarus", ასევე გაიმართა ქართულ-ბელორუსული საქმიანი საბჭოს სხდომა. ღონისძიების ფარგლებში, საკუთარი პროდუქცია წარმოადგინა 70-ზე მეტმა ბელორუსულმა კომპანიამ. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს პალატაში გაწევრიანებულმა მეწარმეებმა, რომლებმაც ღონისძიების ფარგლებში, გამართეს მოლაპარაკებები ბელორუსულ კომპანიებთან;
- მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის მხარდაჭერით გამართულ საახალწლო სოფლის ბაზრობაზე, სადაც წარმოადგინა მეწარმეების მიერ წარმოდგენილი ხელნაკეთი პროდუქცია.

*<u>საერთაშორისო აქტივობები</u>*

- პალატის წარმომადგენელი ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთში, ქ. მადრიდში, სადაც მოეწყო შეხვედრები მადრიდის სოფლის მეურნეობის კვლევით ცენტრსა და მეფუტკრეთა ასოციაციაში. მხარეებმა განიხილეს ქართველი მეწარმეების პროდუქციის ესპანურ ბაზარზე გატანის ხელშეწყობის საკითხები;
- აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, პალატის მხარდაჭერით, პალატის წევრი მეწარმე, ირინა ყორშია იმყოფებოდა ესპანეთში „იტას შუა საუკუნეების ფესტივალზე", სადაც წარმოადგინა მის მიერ წარმოებული ხელნაკეთი ნივთები. აღსანიშნავია, რომ „იტას შუა საუკუნეების ფესტივალის" ისტორიაში უცხო ქვეყნის (ეს ქვეყანა საქართველო გახდა) წარმომადგენელმა პირველად მიიღო მონაწილეობა.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წარმომადგენლები, პალატასთან ერთად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პეკინში "აბრეშუმის გზის საერთაშორისო თანამშრომლობის ფორუმში" "(Listed Companies to Build the B&R International Cooperation Forum);
- პალატისა ორგანიზებით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, აფხაზეთის მთავრობის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ საშობაო საქველმოქმედო გამოფენაში, რომელშიც ეგვიპტეში აკრედიტებულ სხვა დიპლომატიურ მისიებთან ერთად საქართველოს საელჩოც იყო ჩართული. საელჩოსათვის გამოყოფილ სივრცეში პალატამ წარმოადგინა აფხაზეთთან ასოცირებული კომპანიებისა და ბიზნესმენების მიერ წარმოებული პროდუქცია. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა

კაიროს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან. შეხვედრისას ხაზი გაესვა ბიზნესისა და ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობის განვითარების და კონკრეტული ორმხრივი პროექტების შემუშავების მნიშვნელობას; ასევე შეხვდნენ ეგვიპტეში მცხოვრებ აბაზების ოჯახის წარმომადგენლებს, და მონაწილეობა მიიღეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში პერუს საელჩოს მიერ გამართულ მიღებაზე;

- თურქეთის ქალაქ ჩაიელიში  პალატის თანამშრომელი აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა ჩაიელის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა.

*<u>მონაწილეობა ფორუმებში</u>*

- თბილისის სასტუმრო „რუმს ჰოტელში“ „აფხაზეთის ა/რ ქალ ბიზნესმენთა ასოციაციამ“, პალატის ორგანიზებითა და ჩართულობით, გამართა მეწარმე ქალთა პირველი ბიზნეს-ფორუმი;
- ჰოლიდეი ინნ თბილისში აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ქოლგის ქვეშ დაარსებულმა  აფხაზეთის ა/რ სამედიცინო დაწესებულებებისა და მედიცინის მუშაკთა ასოციაციამ, პალატის ორგანიზებითა და ჩართულობით პირველი ფორუმი გამართა;
- პალატა აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმებში ,,ღია დიალოგის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის IHK აკადემიის პროექტის მხარდაჭერით;
- სემინარში ,,ჰონგ-კონგში არსებული პოტენციალი ღვინის ვაჭრობასა და ლოჯისტიკაში“, რომელიც მოეწყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჰონგ-კონგის სავაჭრო განვითარების საბჭოს ორგანიზებით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი კომპანია;
- ბათუმში ჩატარებულ მეწარმე ქალთა ეროვნულ ბიზნეს-ფორუმზე წარდგენილ იყვნენ პალატაში გაწევრიანებული ქალი მეწარმეები. ფორუმი მნიშვნელოვანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნესში ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოვდა აფხაზეთიდან დევნილი 3 მეწარმე ქალბატონი;
- მონაწილეობდა თბილისში გამართულ „იაპონია-საქართველოს ბიზნეს ფორუმში", რომელიც იაპონიასა და საქართველოს შორის ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურებოდა.

*<u>ტრენინგები, სემინარები და საგანმანათლებლო აქტივობები</u>*

- მონაწილეობდა სემინარში თემაზე ,,ბიზნესი და განათლება“, რომელიც ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში;

- პალატის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,ციფრული მარკეტინგი;“
- პალატამ მიიღო მონაწილეობა მიიღო ტრენინგში ,,როგორ გავზარდოთ მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაბამისობა პროდუქტის უსაფრთხოების ევროკავშირის რეგულაციებთან,“ რომელიც ჩატარდა ,,მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაბამისობის პროგრამის დანერგვის“ ფარგლებში, ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით. ტრენინგს უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები;
- პალატამ მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე „ბიზნეს–პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები“;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაში - ქართულ-გერმანული განათლების დღეები;
- ჩატარებული კვლევის ,,საქართველოში დევნილთა საკვანძო დასახლებებში მცირე და საშუალო დონის ბიზნესის განვითარების საჭიროებები“ საფუძველზე, პალატამ შეიმუშავა პროექტი ,,ბიზნეს იდეიდან ბიზნესამდე“, რომლის ფარგლებშიც ქ. ქუთაისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანადგომითა და გერმანიის მთავრობის საპარტნიორო პროექტის kVP 772 დაფინანსებით ჩატარდა 3-დღიანი ტრენინგი ბიზნეს გეგმისა და საგრანტო განაცხადის შევსებაზე იმერეთის რეგიონში მცხოვრები იგპ-თვის.

*<u>სხვა აქტივობები</u>*

- პალატამ, საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და მისი კომპონენტის ,,აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გზით, კონფლიქტის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორებული მოსახლეობის დაახლოების მიზნით, დაიწყო კონკრეტული აქტივობები. კერძოდ, იმ ადამიანების გამოვლენა, ვისაც სურს ერთობლივი ბიზნეს ურთიერთობების დამყარება გამყოფი ხაზების მიღმა მცხოვრებ მეწარმეებთან;
- სასტუმრო „პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა პრეზენტაცია DCFTA-ს საინფორმაციო ცენტრის მიღწევებთან დაკავშირებით;
- მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის IHK აკადემიის ფინანსური მხარდაჭერით ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა კატალოგი, რომელშიც აისახა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებული კომპანიების საქმიანობა, საკონტაქტო ინფორმაცია და მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოგალერეა. კატალოგში ასახული ინფორმაცია ხელს შეუწყობს დამწყები მეწარმეების ცნობადობის ამაღლებას და უკვე ცნობილი კომპანიების საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებას;
- პალატამ მონაწილეობა მიიღო რუხის სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე აფხაზეთის დღეების კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც ჩართული იყო საორგანიზაციო საკითხებში და განახორციელა სხვადასხვა აქტივობები. პალატაში

გაწევრიანებულმა აფხაზეთიდან დევნილმა მეწარმეებმა წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია.

### *3.8 ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის*

*საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

- საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და ასევე სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, დახმარების გაწევა მეწარმეობის განვითარებასა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში;
- სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;
- საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური და ჰუმანიტარული სახის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო დონეზე არაღიარების პოლიტიკის გაძლიერება და მხარდაჭერა.

*შესრულებული სამუშაო:*

ორგანიზაცია დაფუძნდა 2019 წლის 11 ნოებერს შესაბამისად, სააანგარიშო წლის ბოლომდე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა მომავალი წლის პრიორიტეტები;
- დაიგეგმა მომავალი წლის განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები;
- დაიგეგმა ორგანიზაციის მომავალი წლის ბიუჯეტი.

ივანე დოლიძე

მინისტრი

სამინისტროს ცენტრალური აპარატი